USDA

LAND O'LAKES VENTURE 37

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

ნოველები მოზარდებისათვის ცხოველთა დაავადებების შესახებ

ოქტომბერი 2021

ნოველები მოზარდებისათვის ცხოველთა დაავადებების შესახებ

ოქტომბერი 2021



პროექტი - ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში

USDA Food for Progress 2018

www.landolakes.org

ნოველები დაწერილია ვეტერინარი სტუდენტის ნათია რობაქიძის მიერ

ჩანახატების ილუსტრაციებისათვის მადლობას ვუხდით ვეტერინარ სტუდენს
ანა ქუმსიშვილს

„აღნიშნული მასალა მომზადებულია აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, საგარეო სასოფლო-სამეურნეო სამსახურის მიერ გაცემული ფედერალური ჯილდოს FCC-114-2018/004-00 ფარგლებში. ნებისმიერი მოსაზრება, დასკვნა ან რეკომენდაცია, რომლებიც მოცემულია ამ პუბლიკაციაში, არის ავტორ(ებ)ის მოსაზრება და არ ასახავს აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის და ამერიკის მთავრობის შეხედულებას“.

პროექტის შესახებ

საქართველოში მსხვილფეხა საქონლის რძისა და ხორცის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვში სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სტანდარტების გაუმჯობესებისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) დაფინანსებით, „სურსათი პროგრესისათვის“ (Food for Progress 2018) პროგრამის ფარგლებში, ამერიკულმა ორგანიზაციამ Land O'Lakes Venture 37-მა საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან (GFA) პარტნიორობით 2018 წლის ბოლოდან საქართველოში დაიწყო ინოვაციური, ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი 5 წლიანი პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQIL) განხორციელება.

SQIL პროექტის ძირითადი მიზნებია საქართველოში მსხვილფეხა საქონლის რძისა და ხორცის წარმოებაში დანაკარგების შემცირება, სურსათის უვნებლობის და ხარისხის გაუმჯობესება, კონკურენტუნარიანობის, პროდუქტიულობისა ამაღლება და ვაჭრობის პოტენციალის გაზრდა.

ნოველები ცხოველთა დაავადებების შესახებ შექმნილია დაინტერესებული მოზარდებისათვის, რათა ისინი უკეთ გაერკვნენ საქონლის ზოგიერთ დაავადებებთან დაკავშირებულ საფრთხეებში, ასევე მიიღონ ინფორმაცია ცხოველთა სათანადო მოვლისა და ვეტერინარიის მნიშვნელობის შესახებ.

ნოველების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ გადმოიწეროთ მისამართიდან agronavti.ge. ასევე სახელმძღვანელოს მოკლე საინფორმაციო ვერსია შეგიძლიათ მოიძიოთ მობილურ აპლიკაცია აგრონავტში. აგრონავტი ხელმისაწვდომია Android-ის და Apple iOS-ის მომხმარებლებისთვის და ქართულენოვანია.

გსურს გაიგო რა არის აგრონავტი? დაასკანერე QR-კოდი და გადმოწერე აპლიკაცია

სარჩევი

პროექტის შესახებ - **3** გვ.

ბრუცელოზი - **5** გვ.

ცოფი- **12** გვ.

ტუბერკულოზი - **18** გვ.

თურქული - **25** გვ.

ნოდულარული
დერმატიტი **29** გვ.

ყირიმ-კონგოს
ჰემორაგიული
ცხელება - **38** გვ.

ბრუცელოზი

გადაწყდა... ცოტა ხნით სოფლად მივდივარ, არ მჯერა, რომ დრო გამოვნახე. ჩავუარე დაღლილ ქუჩებს, მტვრიან სახლებს, სადაც ფანჯრის რაფებზე აღარ დებენ ფერად ყვავილებს. გამომაცილა ქუჭყში ჩამხრჩვალმა მტკვარმა, რომლის ხმაც დიდი ხანია აღარ მესმის.

გადავუხვიე, უკვე ვიგრძენი ჩემი სოფლის მძაფრი სუნების პალიტრა. გული ამიჩქარდა, ჩავუარე იმ მწვანე ჭალებს სადაც ბომბორას ვარბენინებდი გამუდმებით. ვენახები, ყანები, ორღობე, სადაც მიგვქონდა ნაქურდალი ვაშლები.

გამოჩნდა ჩემი მწვანე ღობე, რომელსაც ფერი დაუკარგავს, თითქოს დაბერდა ჩემი საყვარელი ბაბუსავთ, რომელიც დგას და პატარა ბავშვივით სულმოუთქმენლად მელოდება. გამოჩნდა ჩვენი ძაღლის - ბომბორას შვილიც, რომელსაც მხოლოდ ცუგო დავარქვით, თითქოს სხვა სახელი ვერ გავიმეტეთ მისთვის. ცუგო წლებია ბაბუაჩემის ყავისფერი ლანდი გახდა, ერთად უმკლავდებიან სიმარტოვეს, იმ დღის შემდეგ რაც ბებო სამუდამოდ წავიდა.

მომელაქუცა რიჟიკა ფისო, რომელიც ბოლომდე არასდროს მენდობა, არ აძლევს საკუთარ თავს ჩემთან ბოლომდე მოკარების უფლებას, მიყურებს თვალებით, რომელიც ბევრ შიმშილთან ერთად, სიცივეს, ტკივილსა და ორთაბრძოლებს იტევს, რომელთაგანაც არცერთი არ დაუფასდა.

მესამე დღეა ვუსმენ ბაბუას, აღარც კი მახსოვს 28 წლის განმავლობაში მერამდენეჯერ მოვიკატუნე თავი და გაოცებულმა ჩავეკითხე - მართლა? ისიც 28-ე წელიწადია მიყვება თავის ცხოვრებისეულ ამბებს, იმავე ემოციითა და იმავე გრძნობით, თუმცა მომატებული თავდაჯერებულობით. თვითონაც უკვირს რამდენი გამოუვლია და რა ცოტა დარჩა თურმე... ღიმილის დროს უფრო ეტყობა ნაოჭები და რაც უფრო მეტად იღიმის, მით უფრო მეტად ვიაზრებ რომ ეს შეიძლება ჩემი ბოლო სტუმრობა იყოს მასთან, სოფელთან, სიჯანსაღესთან, მის ისტორიებთან, მის დემონებთან.

მეხუთე დღეს თავს უფლება მივეცი დილით ადრე არ ავმდგარიყავი, თუმცა ვერ დავიძინე, ჭერზე ავიხედე და დავინახე ლაქები, ბავშვობაში აღმოჩენილი, გაურკვეველი ფორმის ლაქები, რომლებიც ძილის წინ სულ იქ

იყვნენ და ვერც წარმოსახვაში ვერ ვაქრობდი. ავდექი, ჩავიცვი, გამოვედი და სახეში შემომაბერა სოფელმა სიო, ბაბუას დავუწყე ძებნა.

ეზოს ბოლოს ქვით ნაგები ბოსელი დგას. ადრე სანამ ბებია ცოცხალი იყო 7-8 ძროხა გვყავდა ხოლმე, მახსოვს საღამოობით როგორ ვიპარებოდი და სახელებს ვარქმევდი, შემეძლო საათობით მეყურებინა როგორი სიზარმაცით ღეჭდნენ საჭმელს. დღეს ამ ბოსელში ბაბუას ერთადერთი და ალბათ უკანასკნელი ძროხა ცხოვრობს, რომელიც, დიდი სიამაყით, ბავშვობის ძმაკაცმა ჩამოუყვანა, ამ ბებერ წლებს გაგიმარტივებს მასზე ზრუნვაო.

ბაბუამ გამოაღო ბოსლის მორყეული ხის კარი და დავინახე ხელები სისხლიანი ჰქონდა, შევშფოთდი. ბაბუმ დამინახა და მითხრა:

ბაბუა - ოოხ, რა ხართ ეს ქალაქელები, ფერი არ გადევს ბიჭოო, მარა არც მე მადევს ალბათ, ეს რა დამემართა ამ დილაუთენია ბაბუ, ხოიცი ლამაზო რომ მყავდა დამაკებული, ჯერ მეექვსე თვეში არიყო და ამ დილით რაცხა არ მომეწონა, წრიალობდა და სანამ ჭალაში გოუშობდი წყლები დაღვარა. გოუჭირდა, ვერ ბადებდა უდღეურ ნაყოფს, დევეხმარე და კი გამოაგდო მკვდარი, დოუსრულებელი ხბო. ჭამას მე არ ვაკლებდი მაგას, მოვლას და წამალს, რა ჭირი ეტაკა, რავა დამაქცია ამხელა კაცი. მიდი უცებ გედევიბან ხელებს და დამეხმარე, დავმარხოთ აგი ხბო.



ეს ის ხბო უნდა ყოფილიყო, რომელსაც ელოდებოდა ბაბუაჩემი, უხაროდა, ალბათ უფრო იმიტომ რომ სიბერეში სიკვდილის გარდა სხვა მოლოდინი უჩვეულოა. ასე დავმარხეთ ბაბუაჩემის ბოლო იმედები.

კარგი იყო სოფელი, ნოტიო და ცივი დილა, მოცვის ჩაის მკაცრი არომატები, ბაბუაჩემის გამომცხვარი ულამაზო ხაჭაპურები, რომელსაც ალბათ მხოლოდ მე მიცხობს ხოლმე, მარტო დარჩენილ საკუთარ თავს კი - არასდროს. მონატრებული მეზობლების გულწრფელი შემოგებება, ღიმილი რომელსაც ვერ გაყიდი. დასვრილი, ტალახიანი შარა მდინარისკენ, რომელიც მილიონჯერ მაქვს ფეხშიშველს ჩარბენილი, ბებიაჩემის წამოწეულ სიტყვებთან ერთად. დაპატარავებული მდინარე, რომელშიც უამრავი ბავშვის წარმოსახვაა დაძირული, მათ შორის ჩემიც.

მეორე კვირაა ვერ დავუბრუნდი ქალაქურ რეჟიმს, ერთმანეთს ეწყობა დილაობით მაგარი ყავა და სიზარმაცისგან მივიწყებული საუზმე, რომელსაც ყოველდღე ვნანობ, შესვენებაზე 7 წუთში ნაჭამი უგემური სადილი და თანამშრომლების გამუდმებული წუწუნი ვერ ნაყიდ ტრენდულ ჩანთაზე. ეს ჩაკეტილი წრე ტელეფონში ბაბუაჩემის შემოსულმა ზარმა გაარღვია.

ბაბუა - რავახარ ბაბუ? მე ნუ მკითხავ, საავადმყოფოში დამაწვინეს, მარა არ დაგირეკე სანამ პასუხს არ მეტყოდენ არ შეგეშ....

მე - რახდება? შეგიძლია ექიმი დამალაპარაკო?

ბაბუა - არ შეგეშინდეს მეთქი, 2 დღეა აქავარ, რაღაც ბოლო დღეებია უძილობა დამეჩემა და გუშინ წინ წყალი რომ მოგვქონდა მე და ფრიდონას რეტი დემესხა და დევეცი ბაბუა. ფრიდონამ დარეკა დეიდაშენთან უცბათ და კი გამაქანეს საავადმყოფოში. ჯერ ვერ გებულობდენ რა ჭირი მჭირდა, დამჩხვლიტეს ბაბუა ყველგან გამომადინეს ე ოხერი სისხლი ანალიზებიზა და ჯერ ვერა გეიგეს რა, მერე კი გოუგზავნიათ ჩემი ანალიზები ქუთეისში და იქანა მითხრეს რომ ბრუცელოზი მჭირს თურმე. მიტომაც არ მაძინებდა და მიტომაც დემესხა თავბრუ!

მე - რაო? ბრუცელოზი პირველად გავიგე, რაარი კიმაგრამ ეს ბრუცელოზი?

ბაბუა - მეც გედევირიე ბაბუა, ძროხის დაავადება ყოფილა, კიდო თხის და ბევრი სხვა ცხოველი მითხრეს ვეღარ დევიმახსოვრე. ლამაზოს ქონია, იმიტომაც დაბადა მკვდარი ხბო, ასე ახასიათებს თურმე წინდაწინ მშო-

ბიარობა და კვტარი ხბოს გაჩენა, ან მომყოლის შეჩერება. იცი მომყოლი რა არის? მარა შენ რა გეცოდინება ბაბუა, რაც გეიზარდე სოფლის ხსენება არ გინდოდა. მოკლედ თურმე შეილება სხვა ვერაფერი შეატყო და ჯანმრთელი გეგონოს ძროხა.

მე - კი მაგრამ მაგ ამბის მერე ხო დაურეკე ვეტერინარს და რატომ არ გითხრა?

ბაბუა - მაგ ვეტერინარია ბაბუ ჩემი ხნისაა, ბრუციანია უკვე, არაფერი არ ცოდნია, ასე მითხრა პირველზე ეგრე იცისო არაფერი არაა საშიშიო. თურმე ჩვენ მხარეში არის გავრცელებული ბაბუ, მთელ იმერეთში, მარა სხვაგანაც ყოფილა. ისინი იცი კოტე და ლამზირა? რავა არ გეცოდინება სირბილაძეებში რო ცხოვრობენ, მაგენი თურმე წლებია რძეს და ყველს ისე ყიდიან ბაზარში არ ცოდნიათ, ნახევარი ქუთეისი მაგათ უმარილო ყველს ჭამს გონია და რძით გადადის თურმე და ყველით თუ კარგად არ წამოადუღე. ხოდა ატკივებია ვიღაცა კაცს სახსრები და გონებიათ ანთება, მარა რო გამეიკვლიეს კარ-გად ბრუცელოზი ყოფილა, იმ ბაზარში დადიოდა სპეციალურად ლამზირიეს ყველიზა. ახლა გევიგე ეგი მეც, რავა გამომრჩა.

მე - კარგი ბაბუ არ ინერვიულო, დაველაპარაკები უფროსს მომცეს კიდევ ერთი დღე და ჩამოგაკითხავ.

ბაბუ - ბაბუ მე გონია კი გადავრჩები, მარა მოხუცებს რთულად გადააქვთო და კიდო ბოვშებს. ისე ბოვშებმა რა დააშავებს რა უსამართლოა ეს ცხოვრება, თუარა მე კი მოვჭამე ეს წუთისოფელი ბაბუა. ჩემ თავს აღარ ვნერვიულობ მარა იცი რაზე მეტირება? ლამაზოს მიაკითხავენ ბაბუა და სასაკლაოში დაკლავენ იცი? თურმე საშიშია ძალიან, მეზობლის ძროხები და ყველა უნდა



შეამოწმონ ახლა ჩვენი გულიზა. ეჰ ჩემო ლამაზო რავა მენანებიიიი. თუ არ მოკლეს ბაბუა თურმე ავრცელებს და ავრცელებს ამ დაავადებას. არც მაგის სამკურნალო წამალი ყოფილა ჯერ გამოგონილი. ახლა შენზე მედარდება, შენ რამე ხომ არ გადაგდე ბაბუ გენაცვალოს, იქნება გეესინჯო ჰა?

მე - არ ინერვიულო კაცო, მე კარგად ვგრძნობ თავს, მაგრამ აუცილებლად ჩავიტარებ ანალიზებს. კარგი ახლა გაგითიშავ, ავალ უფროსთან, დაველაპარაკები და წამოვალ.

ბაბუა - ბაბუ ვიცი ახლა რავარი სამსახურებია, რო ვერ გამოხვალ შენ ჭკუაზე. მე რა მოკითხვა მინდა დეიდაშენი და ბიცოლაშენი დამტრიალებენ. მარა ლამაზო მენანება მარტო რო უნდა იყოს სიკვდილისას, თუ გამოგიშვებს შენი უმფროსი, იქნება მიხვიდე. ცუგოც მიეჩვია, სუ ყეფა ყეფით ხვდებოდა ბოსელთან, უი ბაბუა შეიძლება ცუგოც გაბრუცელოზდეს იციი? წამოდი წამოდი მე ვერ გედევიტან ბაბუა ამას, მიაკითხე ჩემ ცხოველებს არ მომიკლან ყველა ერთად თუარა მაგენი მაძლებიებენ ბაბუა მე და მეც მომკლან მაშინ და გათავდება ეს ამბავი.

ასე გაწყდა ჩვენი კავშირი იმ დღეს, არ მახსოვს როგორ მოვაგვარე, მაგრამ სამსახურიდან ცოტა ხნით გავეთავისუფლე და ისევ დავადექი ჩემი სოფლისკენ მიმავალ გზას, თუმცა სხვა გრძნობით, უამრავი კითხვით, რომელზეც პასუხი მქონდა, მაგრამ საკუთარ თავს ვატყუებდი და მაინც ვეკითხებოდი. გზაში დამირეკეს და მაცნობეს რომ ლამაზო სასაკლაოზე უნდა წამეყვანა, ასევე ჩვენს შემთხვევაზე სურსათის ეროვნული სააგენტო მუშაობს თურმე და ეპიდემიოლოგებთან მომიწევდა გასაუბრება. როგორც იქნა ჩავაღწიე და ჩემი მანქანის ხმაზე ცუგო შემომეგება, ჩაწითლებული თვალები ჰქონდა, როგორც ჩანს მისი ერთადერთი დამლაპარაკებელი რომ ვერ იპოვა, მანაც მთელი ღამე ფიქრებში გაათენა. ნეტა შენ რას გრძნობ ცუგო? მაგრამ ისეთი თვალებით მიყურებ, რომ თითქოს მომავალი წლების მოსახდენი ამბები შენ უკვე იცი და გამოიტირე კიდეც, როგორც ეს ადამიანებს გვჩვევია არარეალური ფიქრების და გაურკვეველი გრძნობების გამოტირება. თუმცა ამბობენ, რომ თქვენ რა გრძნობასაც გრძნობთ ყოველთვის ნამდვილია. აი მე კი დღეს რაც მოხდება ეს დანამდვილებით ვიცი.

წავაყვანინე ლამაზო სასაკლაოზე, ზანტად გამოვიდა ბოსლიდან, ნაბიჯსაც კი არ აუჩქარა, ბაბუაჩემის ნაფერები ყავისფერი ძროხა. პირველად დავაკვირდი ასე მიშტერებით და მივხვდი რატომაც ერქვა ეს სახელი. ულამაზესი შავი დიდი თვალები ჰქონდა, ერთი შეხედვით არაფრის მეტყველი, თუმცა ადამიანებმა თვალის არიდება ვიცით იმაზე რაც მნიშვნელოვანია და მეც პირველად შევხედე მის მნიშვნელოვან თვალებს. იქნებ ისიც მოუთმენლად ელოდებოდა საკუთარ შვილს რომელიც მოუკვდა, იქნებ ძალიან უნდოდა თავისი სიცოცხლე, რომელსაც ძირითადად სიზარმაცეში გაატარებდა. მაგრამ სწრაფად მოვეგე გონს და გავაცნობიერე, რომ სჯობდა ლამაზო გვემსხვერპლა, ვიდრე მთელი სოფლის მოსახლეობა ყოფილიყო საფრთხეში. ამ დღის შემდეგ ჩვენს ეზოში სიბერემ დაისადგურა. სახლი, რომელშიც მხოლოდ მოხუცი ნივთები იდგა, ნაკლები ფერებით, ეზო სადაც წლებია არავის დაურგავს ახალი ხე, ათობით წლის გათელილი ვიწრო ბილიკი სოფლის ტუალეტამდე. 100 წლის კაკლის ხესთან ატუზული გაჭაღარავებული რიჟა კატა შეუპოვარი ხასიათით, ბაბუაჩემის ყავისფერი ლანდი - ცუგო, რომელიც უკვე მეათე წელია ბაბუაჩემის ბრახუნა ფეხსაცმლის გვერდით პატარა, მაგრამ მყარ ნაკვალევს ტოვებს და ბაბუაჩემი, რომელიც დაბრუნდება საავადმყოფოდან ისევ ისეთი ძველი, დანაპრალებული ძვლებით, 60-იანების იუმორითა და ნამდვილი თუ გამოგონილი ამბებით, დაღლილი ღიმილითა და მორჩენილი ბრუცელოზით.

ცოფი

ყოველთვის ხმაურიანი იყო ჩვენი უბანი. სიმშვიდეს მხოლოდ ბავშვები თუ ვარღვევდით, ხან გოგია ძია გვავალებდა თავისი ვერელი ძმაკაცების მოკრებას მის სარდაფში, სადაც დილამდე სვამდნენ რამოდენიმე ლარად ნაყიდ არაყს. ნინელი ბებიაც გვაძებნინებდა ხოლმე ახლად მოყვანილ, რიგით მეოთხე კატას, რომელიც სახლიდან სულ გარბოდა. ბავშვები მიმოვიფანტებოდით ხოლმე კატის მოსაძებნად, მეც ვეძებდი, თუმცა იმიტომ არა რომ მეპოვნა. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ გაქცეულ კატას სხვაგვარი ცხოვრება სჭირდებოდა და არა ისეთი, როგორსაც ნინელი ბებია სთავაზობდა. დილაობით ოქროყანიდან ჩამოტანილ მაწვნის ჭამას მოვრჩებოდი თუ არა გაგი, ვაჩე, ანი და ლევანი გამომივლიდნენ ხოლმე, სკოლის ჩანთას და ქურთუკს ავიღებდი და თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი სკოლაში. ხუთი წუთის გზა იყო სკოლამდე, თუმცა დღემდე დიდ თავგადასავლად მომსდევს, ხუთ წუთიან გზაზე გადალახული პირველი პრობლემები, პირველი გრძნობები იმ გოგოს მიმართ, რომელიც მე შევქმენი ისეთად, როგორიც მინდოდა ყოფილიყო. თურმე ერთადერთი რამ, რასაც სიყვარული მივაწერე, მისი სიდინჯე და თითების უცნაური მოძრაობა იყო. დრო რომ გავიდა და გავიზარდე, აღმოვაჩინე როგორ მაინტერესებდა ადამიანებზე დაკვირვება. პეტრიაშვილზე რომ ჩავუხვევდით, მძაფრი ყავის სუნი მცემდა, დრო გავიდა და არც ერთ ყავას არ აქვს ისეთი გემო, როგორსაც წარმოვიდგენდი.

არ მავიწყდება მგალობლიშვილების სახლი და ეზო, ყველაზე დიდი სახლი იყო მთელ ქუჩაზე, პირდაპირ სკოლის გვერდით. მოყავისფრო ქვის კედლებით, აქა იქ თაგვისფერი ლაქებით. ქვების ამ ლაქებს ბავშვები აჩრდილებს ეძახდნენ. ვგრძნობდი ხოლმე კედლებიდან გამოსულ სიცივეს და ნესტს, ეზოში უცნაური ჯიშის ხეები იდგა. ქარი რომ დაბერავდა და აშრიალდებოდნენ, წარმოვიდგენდი რომ ეს სახლი სხვაგან იდგა, სხვა სამყაროში, ერთადერთი რაც გვაერთიანებდა იყო უზარმაზარი, ჟანგიანი ჭიშკარი. ჭიშკარი იყო ზღვარი ჩვენ ფანტაზიებს და რეალურ სამყაროს შორის. ეზოში ხელნაკეთ ქვის სკამებზე წამოწოლილ შავ კნუტებს ვაკვირდებოდით. ზოგჯერ, სანამ ბავშვურ წარმოსახვებში ვიყავით ჩაფლულები, მოპირდაპირე სახლიდან ირაკლი ძიას სასეირნოდ ჩამოჰყავდა უზარმაზარი ძაღლი - ლუჩი. მთელ ვერაზე არავის ენახა ამაზე ლამაზი, მშვიდი და თავდაჯერებული ძაღლი. სიარულის დროს ყველა კუნთის მოძრაობა და სისხლძარღვების თრთოლვა ისე ლამაზად ეტყობოდა, რომ მივხვდი, ხელოვნების განსაზღვრება უკიდეგანოა და რომ ყველაფერი, რაც ჩვენ დამოუკიდებლად იქმნება შეიძლება გახდეს ხელოვნების ნაწილი, მაშინაც კი, თუ ერთ ადამიანში მაინც გამოიწვევს აუხსნელ სასიამოვნო ემოციებს.

როგორ მახსოვს, პირველად ლუჩის რომ მივუახლოვდი, აღელვებისგან ირაკლი ძიას ის ვკითხე, რასაც დედაჩემი სულ მიჩიჩინებდა:

მე - ირაკლი ძია, მოფერება მინდა და აცრილია? გაეღიმა.

ირაკლი ძია - როგორი ჭკვიანი ბიჭი ყოფილხარ გიორგი, პაპაშენის სიფრთხილე გამოგყოლია. შეგიძლია მოეფერო, ცოფზე აცრილია, არ შეგეშინდეს. ნეტა ყველა ძაღლი იყოს აცრილი, ამასწინ კი წაიყვანეს ჩვენი უბნის ძაღლები და აცრეს, მაგრამ რას უშველის ერთხელ წაყვანა, იმ აცრის იმუნიტეტი ერთი წელი გასტანს მხოლოდ და მერე თავიდან უნდა აიცრას ისევ ყველა.

მერე მახსოვს, სკოლის ზარიც შემომესმა, დავემშვიდობე და გავიქეცი.

ბაბუაჩემი ექიმი იყო. მესამე კლასში ვიქნებოდი რომ გარდაიცვალა. გარკვეული პერიოდი რუსეთში მოღვაწეობდა, იქიდან ერთი ისტორია ჩამოიყოლა. ცოფიანი პაციენტი ჰყავდათ კლინიკაში, 40 წლამდე მამაკაცი იყო, თევზაობის დროს უცხო ძაღლს უკბენია, უცოდინრობის გამო არაფრად ჩაუთვლია. ბაბუაჩემი დინჯი კაცი არასდროს ყოფილა, მაგრამ ამ ამბავს ისეთი ემოციით და ხმაურით ყვებოდა, რომ სიკვდილის შემდეგ დედაჩემს და ყველა ახლობელს ვისაც გადასწვდა, სამარადჟამო შიში დაუტოვა. სულ ასე იძახდა: „48 წელი ვიყავი ექიმი, სად არ ვყოფილვარ, რა დაავადებები არ მინახავს, რამდენი მომაკვდავი და განწირული თვალებისთვის შემიხედავს, მაგრამ გაცოფებული ადამიანივით საშინელება არაფერია, გააფთრებული ავაზაკი რომელსაც წყლის პანიკურად ეშინია, აგრესიულია და საშინელ ხმებს გამოსცემს, ბოლოს კი ლოგინზე მიბმულს დამბლა ეცემა[1] და როგორი დიადი და კარგი ადამიანიც არ უნდა იყოს, ასე კვდება სიბოროტით სავსე. თუკი რამე არსებობს ცუდი, ღვთისგან მიტოვებული, ამქვეყნიური სასჯელი და წყევლა, ყველა ამ დაავადებაშია მოქცეული“.

ასე თანდათან ვივსებოდი სხვისი დანატოვარი შიშით და მიუხედავად ცხოველების დიდი სიყვარულისა, მხოლოდ შორიდან ვაკვირდებოდი ხოლმე ძაღლებს და მსიამოვნებდა. მითუმეტეს იმის მერე, რაც გავიგე, რომ თურმე ყველა ცოფიანი ძაღლი არ არის აგრესიული და შეიძლება მშვიდად დადიოდეს ქუჩებში, განსაკუთრებით დაავადების ადრეულ პერიოდში[2]. ჩვენი

1 მოძრაობის შეზღუდვა, პარალიზება
2 დაავადების საწყისი პერიოდი, რა დროსაც სიმპტომები ნაკლებად ან საერთოდ არ არის გამოხატული

ქუჩები ყოველთვის სტუმართმოყვარე იყო უსახლკარო ძაღლებისთვის, ჩემს თვალწინ იზრდებოდნენ და მრავლდებოდნენ სხვადასხვა ფერის, ზომის და ხასიათის ძაღლები.

ერთ დღესაც ბავშვებს საერთო საზრუნავი გაგვიჩნდა, როდესაც ჩვენი უბნის ძაღლებმა მოულოდნელად დაჩაგრეს პატარა, უცხო, დაბნეული და მიუსაფარი[3] ძაღლი. პირველად შევამჩნიეთ ხორცის მაღაზიის წინ, გადავარჩინეთ და შევიფარეთ. ჩვენი ერთ-ერთი მეგობარი ანის მამას იმდენი ვეწუწუნეთ რომ ეზოში ადგილი გამოგვიყო. თოი დავარქვით. ძალიან პატარა იყო ტანით, მაგრამ დიდი ნაცრისფერი, წყლიანი თვალები ჰქონდა. ყოველდღე მორიგეობა დავაწესეთ მის კვებაზე, სკოლამდე და სკოლის შემდეგ. შეგვიყვარდა.

ზუსტად რიცხვი არ მახსოვს, მაგრამ არ მავიწყდება ის განცდა, ნერვიულობისგან რომ გულისრევის შეგრძნება გაქვს. დილით, სანამ ანი სკოლაში წასასვლელად მოემზადებოდა, ჩვეულებისამებრ თოის საჭმელი მიუტანა, მერე იფიქრა ცოტას კიდევ დავუმატებო და ზუსტად იმ დროს, როცა ხელი თოის ჯამისკენ წაიღო, თოიმ უკბინა. ანის კივილზე ქუჩა ახმაურდა და ადუღდა. არც თოის გამოხედვა მავიწყდება, ზუსტად მაშინ მივხვდი რომ ძაღლებიც ყველაფერს გრძნობენ, ზოგჯერ უფრო მძაფრადაც.

---

3 ქუჩაში პატრონის გარეშე მობინადრე ძაღლი

ჩვენი უბანი შიშმა მოიცვა. თოის მოკვლას უპირებდნენ, თუმცა ძლივს დაარწმუნეს ანის მამა რომ 10 დღე მოეცადა. იმ შემთხვევაში თუ ძაღლი ცოფიანი იქნებოდა 10 დღეში ისედაც თავისით მოკვდებოდა. ამავდროულად, გადაწყვიტეს, რომ ყველას, ვისაც თოისთან გვქონდა შეხება, ცოფის აცრა უნდა გაგვეკეთებინა.

დაბნეულმა დედაჩემმა საგულდაგულოდ დამითვალიერა თითები და სხეული, მაკვირდებოდა განუწყვეტლივ. უთხრეს, რომ ცხოველის არა მხოლოდ კბენა, არამედ დაჩხაპვნაც და დაზიანებული კანის დანერწყვაც საშიშია, განსაკუთრებით ხელის თითებზე. ზუსტად არ მახსოვს რამდენჯერ დამაბანინა, გამიშრო და კიდევ დამხედა, რამდენჯერ მკითხა ერთი და იგივე, რამდენჯერ იტირა და იჩხუბა. რამდენჯერ უპასუხა მეზობლების შემოსულ ზარებს.



ასე გადიოდა დღეები. დღეში ორჯერ რეკავდნენ ანის მშობლები თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარში[4], სადაც თოი 10 დღიან კარანტინს[5] გადიოდა. ვცდილობდი, სკოლაში არ წავსულიყავი. ნერვიულობისგან ცუდად მეძინა და დედაჩემივით მეც ჩამომიღამდა თვალები. ასე ნელა არც ერთი სხვა

4 თბილისის მერიას დაქვემდევარებული ცხოველების თავშესაფარი
5 ცხოველების იზოლაცია გარკვეული პერიოდის განმავლობაში

10 დღე არ გასულა. თითქოს, სიცოცხლის განაჩენს ელი და არ იცი, წინ რა გელოდება. თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ დროულად დაგვაწყებინეს ვაქცინის გაკეთება. 10 დღის შემდეგ, გავიგეთ, რომ თოი კვლავ ჯანმრთელი და ცოცხალი იყო. ვერ ავხსნი რა ვიგრძენი, მაგრამ ვიცოდი, რომ გრძნობებს არ აქვს საზღვარი. მინდოდა თოის ჩავხუტებოდი, მივხვდი, რომ არანაირ სიბრაზეს არ განვიცდიდი, ისიც გავიაზრე, რომ ადამიანები არარეალურ პასუხიმგებლობებს ვანიჭებთ სხვებს, საკუთარი კი გვავიწყდება. თოი თავიდანვე უნდა აგვეცრა, თუმცა ბავშვებს ამდენი არ გვესმოდა. დედას დაჟინებული ვთხოვდი, რომ თოი სახლში წამოგვეყვანა და ჩვენ გვეპატრონა. რამდენიმე დღიანი ყოყმანის შემდეგ დედა დამთანხმდა.

მერვე წელი გავიდა ამ ამბის შემდეგ და თოი ისევ ჩემთან ერთად ცხოვრობს, სიბერეს არ იტყობს და არც მე მეტყობა ის შფოთვა, როცა წარმოვიდგენ მის წასვლას. არ ყოფილა მარტივი სახლში ცხოველის ყოლა, თუმცა ცხოველზე ზრუნვისას ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი და მარტივი ცხოველის ვაქცინაციაა. მაგალითად, წელიწადში ერთხელ, შაბათს ან კვირას, თუნდაც სხვა დღეებში სამსახურის შემდეგ, ძაღლი უნდა მიიყვანოთ ვეტერინარულ კლინიკაში, შეამოწმებენ და დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემთხვევაში, ჩაუტარებენ ვაქცინაციას.

ტუბერკულოზი

ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა მე და ლიზამ თბილისთან ახლოს პატარა სახლი ვიყიდეთ, დიდი ეზოთი. წლები ველოდით ამ დღეს. ერთმანეთი იტალიაში, ტოსკანაში გავიცანით, მე სამსახურიდან გამგზავნეს იტალიური ღვინის ტექნოლოგიის შესასწავლად, ლიზა ბავშვობის მეგობართან იყო ჩამოსული შვებულების გასატარებლად. მაშინ, ვერც წარმოვიდგენდი, მორტადელას რიგში გაცნობილ, ლიმონისფერ კაბიან გოგონასთან ერთად, 6 წლის შემდეგ თუ ავიხდენდი ჩემს დიდ ოცნებას. საღამოობით, ტრენინგების შემდეგ, ვსეირნობდით მე და ლიზა და ვტკბებოდით შეუდარებელი პეიზაჟებით. იმ დღეების შემდეგ, ჩემი ცხოვრებაც ლიმონისფერი გახდა და ისე ახლოს არასდროს მიგრძვნია თავი ხელოვნებასთან, როგორც ტოსკანაში.

ტოსკანაში ჩემს მასპინძელს პაოლო ერქვა, უზარმაზარ ტერიტორიაზე ჰქონდა გაშენებული სანჯოვანის ვენახები და ზეთისხილის ხეები. ეზოში, სახლის გვერდით, ძალიან დიდი, ქვით ნაგები მარანი ჰქონდა. ღვინის გარდა აწარმოებდა ყველს, ზეითუნის ზეთს და მოჰყავდა რამდენიმე სახეობის ბოსტნეული. ერთ დღეს ლიზა პაოლოს დიდ და საუკუნოვან მამულში დავპატიჟე. პაოლომ დიდი ყურადღება გამოიჩინა ლიზას მიმართ, დაგვათვალიერებინა მთლიანი მამული, თავისი ხელოვნური ტბა, პატარა საფრინველე, ყველის პატარა საწარმო შენობა, სადაც გორგონძოლა დოლჩეს ყველი გაგვასინჯა. ყველაზე მეტად, რამაც ლიზა აღაფრთოვანა ცხენები და ქვიშიანი იპოდრომი იყო. იპოდრომიდან რამდენიმე ათეულ მეტრში ძროხების სადგომი იყო განთავსებული. მოვინახულეთ შავ-თეთრი ძროხები, მოვეფერეთ პაოლოს ძაღლებს, დავაგემოვნეთ უგემრიელესი ღვინო და საღამოს გავისეირნეთ ვიწრო ქუჩებში. მონაცისფრო, მოყვითალო პატარა სახლები, მწვანე გახუნებული დარაბებითა და ნესტიანი თეთრი კედლებით, თავიანთ ისტორიებს გვიყვებოდნენ. როცა ჩემი ჩამომდნარი ნაყინის წვეთებს ვტოვებდი ყავისფერ, დაბზარულ ფილებზე, ლიზამ პატარა ბავშვის ენთუზიაზმით მომიყვა როგორ ოცნებობდა ეზოიან სახლზე, სადაც დიდი სიამოვნებით ექნებოდა პატარა ფერმა და საოჯახო მეურნეობა. ის ოცნებობდა, თუ როგორ დარგავდა ულამაზეს ყვავილებს ეზოში და საკუთარი ხელით მოქსოვილ ჭრელ ჰამაკებს დაკიდებდა ვაშლის ხეებზე. სიმართლე გითხრათ, მოქსოვილ ჰამაკებზე არასდროს მიფიქრია, მაგრამ სხვა დანარჩენი ზუსტად ის იყო, რაც არც თუ ისე დიდი ხანია მქონდა აკვიატებული გონებაში და, ვცდილობდი, ნელ-ნელა განმეხორციელებინა. პაოლო აღმოჩნდა ჩემი პირველი ინსპირაცია იმ მომეტიდან, საკუთარი გაკეთებული ღვინო რომ მოსვა თვალ დახუჭულმა, მერე დიდი სიამაყით რომ აკოცა თავისივე 5 თითს და კმაყოფილმა რომ შემოსძახა “perfetto”.

მე და ლიზამ ჩამოვიყოლეთ ჩვენი ტოსკანური მეგობრობა თბილისამდე. ასე მივყვებოდით ცხოვრების დინებას და პროფესიულ გამოწვევებს. იყო დღეები, როცა ვივიწყებდით ჩვენ სურვილს და ყოველდღიური პრობლემებისგან დაღლილებს, აღარ გვახსოვდა ჩვენი მომავალი პატარა ფერმა. მაგრამ ერთ დღესაც, სამსახურში თანამშრომელმა მახარა, რომ მისი ძმა კახეთისკენ მიმავალ გზაზე, ყიდდა პატარა სახლს ყიდიდა, 3 ჰექტარი მიწით. იმ საღამოსვე მოვინახულე ნაკვეთი, რომელიც 40 წუთის სავალ გზაზე იყო თბილისიდან. რამდენიმე დღე ფიქრში და თანხის თვლაში გავატარე. ერთ დილას კი ლიზას სიურპრიზი მოვუწყვე და წავიყვანე.

ერთ თვეში უკვე ახალ სახლში გადასვლაც მოვახერხეთ, ვერ წარმოიდგენთ როგორი ბედნიერი იყო ლიზა. სახლი ფორთოხლისფრად შევღებეთ. ლიზა თიხისგან საყვავილეებს აკეთებდა, აშრობდა და ლამაზ ფერებში ღებავდა, საღამოობით კი ჰამაკებს ქსოვდა და ძველ ხის სკამებს ლამაზ ჩუქურთმებს უკეთებდა. მე პატარა საქათმეს ვარემონტებდი და ნიადაგს ვამზადებდი ჩემი ახალი ვენახისთვის. ასე ვფუსფუსებდით ყოველ დღე მე და ლიზა და ისე გვიხაროდა, თითქოს ჩვენი თავები დიდ ხნიანი ძებნის შემდეგ, ეხლა ვიპოვეთ. უკანა ეზოში ძალიან ძველი ფარდული იდგა. თავიდან გადავხურე და კედლები გავამყარე. დიდ ხის კარზე ლიზას გამოძერწილი მწვანე ძროხა დავკიდეთ და ფერადი ასოებით „ფრიდა და ფრეია“ მივაწერეთ. ფრიდა და ფრეია ჩვენი ახალი 7 თვის ხბოები იყვნენ, რომლებიც ერთი ფერმერი კაცისგან შევიძინეთ და ძალიან მალე ჩვენი პატარა ოჯახის ბინადარები გახდებოდნენ. უამრავი კონსულტაცია გავიარე ვეტერინარებთან, მათი მოვლა შენახვის, ვაქცინაციის და კვების შესახებ.

\ერთ დილას, პირველმა მზის სხივებმა შემოაცილეს ჩვენს ეზოში ფრიდა და ფრეია. დაბნეულები ჩანდნენ, მთელი ეზო მოირბინეს დიდი სიფრთხილით, დაკუნტრუშობდნენ და ერთმანეთის გარეშე ხუთი წუთიც არ ჩერდებოდნენ. ვეტერინარმა კარანტინის რეკომენდაცია მომცა, საძოვ-რებზე არ უნდა გამეყვანა პირველი ორი კვირა, რომ სხვა ძროხებთან არ ჰქონოდათ შეხება. ისედაც არ ვაპირებდი, ჩემი ეზო, და ჯერ კიდევ აუთვისებელი მიწის ნაწილი ხასხასა ბალახით მათ განკარგულებაში იყო. ერთმანეთს ისე ჰგავდნენ, გაგვიჭირდა ერთმანეთისგან გარჩევა. ორივე კრემისფერი იყო, პატარა ქოჩორითა და შავ თვალებს შორის თეთრი ლაქით. სულმოუთქმენლად გლეჯდნენ ბალახს და ჩვენ ყოველ მიახლოვებაზე გარბოდნენ. შებინდებისას მთელი ეზოს შემორბენა დაგვჭირდა მე და ლიზას რომ ჩვენი ორი ახალი მეგობარი სადგომში შეგვეყვანა. ბოლოს დაქანცულები შემოვუსხედით ქვის მაგიდას. ლიზას სუფრაზე ულამაზესი წითელ-ყვითელი ხელოვნური ყვავილები შემოეწყო. ზღვისფერ თეფშებზე და მინის ფერად ლანგრებზე ჰქონდა დაწყობილი უგემრიელესი სალათები. ასე ვატარებდით ხოლმე საღამოებს. ეზოში რამოდენიმე ხეზე ნათურები ჩა-მოვკიდეთ. ხშირად ვაგემოვნებდით ღვინოს, შაბათობით ჩვენი მეგობრები ამოდიოდნენ სტუმრად და შეგვეძლო გათენებამდე გვეცეკვა და გვესმინა ერთმანეთისთვის. ასე იღვრებოდა ჩემ ცხოვრებაში უამრავი ფერი და მეც თავს უფლებას ვაძლევდი მშვიდად შევჭიდებოდი ცხოვრების გამოწვევებს.

ერთი კვირა იყო გასული, როცა ფრიდა და ფრეია საბოლოოდ მიხვდნენ, რომ ჩვენ მათი პატრონები ვიყავით. ლიზა მათ პატარა ავზს რომ უვსებდა წყლით, ფრიდა მიუახლოვდა და ფეხებზე თავი გაუხახუნა. მერე გახარებული ჩემთან გამოიქცა და მეუბნება:

ლიზა - დაინახე? უკვე გვცნობენ და ნელ-ნელა ჩვენს ნდობას მოიპოვებენ. ვფიქრობ უკვე დროა ჩემი დანაზოგით ცხენი ვიყიდოთ, არა? ძალიან მინდა რომ გოგო იყოს და ლილის დავარქმევ.

მე - მშვენიერი აზრია, უბრალოდ ჯერ ფრიდას და ფრეიას მოვლას შევეჩვიოთ, მერე კი დავიწყოთ ცხენის არჩევაც. იმედია ყველა ჩვენს წიწილას სახელს არ დაარქმევ, თორემ გპირდები, ვერასდროს დავიმახსოვრებ.

ვეჩვეოდით ცხოვრების ახალ სტილს, გვერდითა მეზობელი დავიქირავეთ, სანამ ჩვენ სამსახურში ვიყავით, ცხოველებისთვის რომ მიეხედა. გზა ცოტათი გვღლიდა, მაგრამ ნელ-ნელა ეს გზაც ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდებოდა. ერთ დღესაც გზის პირას დავარდნილი პატარა შავი ლეკვი დავინახეთ. სუნთქვა უჭირდა და არ მოძრაობდა. ლიზამ რომ დაინახა ცრემლებს ვეღარ იკავებდა, სასწრაფოდ გავბრუნდით თბილისისკენ და ლეკვი ვეტერინართან მივიყვანეთ. სანამ კარგად გახდებოდა რამდენიმე ღამის გათენება მოგვიწია. თუმცა მალევე გამოჯანმრთელდა, ფრიდას და ფრეიას დასდევდა და კუდზე ეთამაშებოდა, ხან ერთს, ხან მეორეს. საი დავარქვით.

ერთ საღამოს დარგულ კიტრებს დავტრიალებდი თავზე. ვერ ვისვენებდი და კიდევ რაღაცის გაკეთება მინდოდა, თუმცა მოულოდნელად, სურსათის ეროვნული სააგენტოდან დამირეკეს და მითხრეს, რომ ფერმაში, საიდანაც ფრიდა და ფრეია შევიძინეთ, ტუბერკულოზის შემთხვევა დადასტურდა. მისამართი ჩაიწერეს და მითხრეს რომ ხვალისთვის მოვიდოდნენ და ძროხებს რაღაც ალერგიულ რეაქციას - ტუბერკულინიზაციას ჩაუტარებდნენ. ტელეფონზე საუბარს რომ მოვრჩი, პირველი რაც გავაკეთე სახლისკენ ამოვირბინე და დავიწყე ინფორმაციის მოძიება. ჩემთვის ამ დაავადებასთან ყოველთვის ასოცირდებოდა სიტყვა - განუკურნებელი, ასევე ტკივილი და ტანჯვა. თუმცა თავს ვიმშვიდებდი იმით, რომ დღეს მედიცინა განვითარდა და რაღაც ხსნა ყოველთვის არსებობდა. ჩავრთე კომპიუტერი და სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციების ძიება დავიწყე, ყველაზე მეტად რამოდენიმე ფრაზამ შემაშინა: ზოონოზური დაავადებაა, ანუ ცხოველის ტუბერკულოზი ადამიანსაც გადაეცემა და პირიქით. მერე ამოვიკითხე, რომ ცხოველებში ვაქცინა არ არსებობს და უფრო შევშინდი. ვაქცინა ხომ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღია ასეთ მძიმედ მიმდინარე დაავადებებთან საბრძოლველად. არ არსებობს ვაქცინა, ანუ შეიძლება იმედიც არ არსებობდეს. ვეძებდი რამეს, რაც ცოტათი დამამშვიდებდა, მაგრამ ამოვიკითხე რომ დაავადებულ ცხოველებს აუცილებლად კლავენ, დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. უცებ წარმოვიდგინე, რა შეიძლებოდა ლიზას დამართნოდა, თუკი ფრიდას და ფრეიას ტუბერკულოზი აღმოაჩნდებოდათ და მათი დაკვლა მოგვიწევდა. დილით ერთმანეთს ვამშვიდებდით, როცა ჩვენ ღობესთან მანქანა გაჩერდა და ორი უცხო მამაკაცი ჩვენი კარისკენ გამოემართა. შევხვდით, გავიცანით, გვითხრეს რომ იმ ფერმაში 3 ძროხას დაუდასტურდა ტუბერკულოზი. ასევე, გამოგვკითხეს ძროხებს თუ ჰქონდათ სხვა ცხოველებთან შეხება, დაათვალიერეს ტერიტორია, დარწმუნდნენ რომ ჩვენს ძროხებს მეზობლების ცხოველებთან არანაირი კონტაქტი არ ჰქონიათ, არც ჩვენს მომვლელს არ ჰყოლია შინაური ცხოველები. ბოლოს მოამზადეს პირადი დაცვის აღჭურვილობა, პრეპარატები და ფრიდას და ფრეიას **ტუბერკულინიზაცია**[6] ჩაუტარეს. ძალიან უცნაური პროცესი ყოფილა, მათ ჯერ ორივეს კისერთან მაკრატლით ბალანი აკრიჭეს, მერე შეკრეჭილ ადგილას კანის სისქე გაუზომეს და მიღებული შედეგი ჟურნალში ჩაწერეს, ამის შემდეგ კი თერმო-ჩემოდნიდან სპეციალური შპრიცი ამოიღეს და ორივეს კანში რაღაც სითხე შეუყვანეს. ამ პროცესს რომ მორჩნენ აგვიხსნეს

6 ცხოველების ტუბერკულოზზე გამოკვლევა ალერგიული მეთოდით.

რომ 72 საათი არის საჭირო დადებითი რეაქციის გამოსავლენად. იმ შემთხვევაში თუ ცხოველს ის ადგილი სადაც პრეპარატი შეუყვანეს, კანი რამდენიმე მილიმეტრით გაუსივდებოდა და მტკივნეული გაუხდება, რეაქცია დადებითად ჩაითვლება. რეკომენდაცია მოგვცეს რომ ცხოველები ცოტა ხანს სადგომში გვყოლოდა და მაქსიმალურად დაგვეცვა ჰიგიენის წესები. ფერმის ტერიტორიაზე ჩაგვეტარებინა დეზინფექცია[7], ასევე მღრღნელების საწინააღმდეგო ღონისძიებებიც, რადგან თავიდან აგვეცილებინა დაავადების გავრცელების ყველანაირი გზა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხბოები ჯერ რძეს არ გვაძლევდნენ, თურმე დაავადების გადაცემის სხვა, არანაკლებ სახიფათო გზებიც არსებობს და ინფექცია შარდით, ფეკალით, დასვრილი სადგომებით და ნივთებით ვრცელდება. დაგვიბარეს, რომ ორი დღის შემდეგ ჩამოვიდოდნენ და ნახავდნენ ტესტის შედეგს.

შეშინებულებმა ჩვენთვის შევიმუშავეთ ფრიდას და ფრეიას მოვლის წესები. მოვიმარაგეთ ხელთათმანები და ბახილები. მათი მოვლა სრულად ჩემ თავზე ავიღე, სადგომიდან გამოსული ყველაფერს ვიცვლიდი და ისე გამოვდიოდი სხვა ტერიტორიაზე. დღეში რამდენჯერმე ვაკვირდებოდი იმ ადგილს, სადაც ალერგენი[8] შეიყვანეს, ცვლილებას ვერაფერს ვატყობდი და მიხაროდა. ამასობაში კი გავაცნობიერე, თუ როგორი რთულია დაავადებასთან ერთად ცხოვრება, მითუმეტეს, როცა იცი, რომ არ იკურნება. უდიდესი პასუხისმგებლობა ვიგრძენი ყველა სულიერი არსების მიმართ და ვცდილობდი არავის და არაფერს მივკარებოდი. ვცდილობდი, არ მეფიქრა, როგორ შეიძლებოდა ჩამოშლილიყო ჩვენი ტოსკანური ოცნება, რადგან, თუკი ჩვენს ულამაზეს ფრიდასა და ფრეიას ტუბერკულოზი დაუდასტურდებოდა,

7 მავნე ბაქტერიების განადგურების პროცესი.
8 ნივთიერება, რომელიც იწვევს ალერგიულ რეაქციას.

ჩვენი ოცნების საოჯახო ფერმა არაკეთილსაიმედოდ[9] გამოცხადდებოდა. არადა უკვე როგორ მიყვარდა ყველა კუთხე, ეზოშიც და სახლშიც მოფენილი ლიზას ხელნაკეთი ნივთები. ულამაზესი მალინისფერი და ლურჯი ჰამაკები, რომლებსაც უკვე საის კბილები ეტყობოდათ. გული მაინც კარგს მიგრძნობდა, ფრიდა და ფრეია ყოჩაღად იყვნენ, არ უჩივოდნენ არც მადის კარგვას და არც უხასიათობას. უბრალოდ უკვირდათ, რატომ იყვნენ გამოკეტილები სადგომში.

მესამე დღეს ისევ გვესტუმრნენ სურსათის ეროვნული სააგენტოდან. შეამოწმეს ფრიდა და ფრეია და გვითხრეს რომ რეაქცია უარყოფითია ანუ ხბოები ჯანმთელები არიან. თუმცა მაინც მოგვიწოდეს რომ სიფრთხილე შეგვენარჩუნებინა. ამ დაავადებას თურმე უსიმპტომო, ანუ ფარული მიმდინარეობა ახასიათებს და შეიძლება მძიმედ მიმდინარეობის დროს გამოუვლინდეს ცხოველს სისუსტე, სიგამხდრე და პერიოდული ხველა. ამიტომ რეკომენდაცია მოგვცეს რომ ამ ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიგვემართა ვეტერინარისათვის.

სააგენტოს ვეტერინარებს მადლობა გადავუხადეთ და გახარებულები დავემშვიდობეთ. საი ენა გადმოგდებული დარბოდა ეზოში ეს დღეები და ფრიდას და ფრეიას ეძებდა. ალბათ, ზუსტად ვერ აღგიწერთ მის რეაქციას, როცა ჩვენს კუნტრუშა ხბოებს სადგომის კარი გავუღეთ. ერთმანეთისკენ უკანა ფეხების ქნევით გაექანნენ და უჩვეულო სისწრაფით შემოირბინეს ჩვენი სიყვარულით სავსე, ფერადი ეზო. ვუყურებდი და მიხაროდა რომ ამ ყველაფრის ნაწილი ვიყავი, თუმცა ვხვდებოდი, რომ ამ ეზოში მორბენალი ყოველი ახალი არსება, უდიდეს პასუხისმგებლობას დამაკისრებდა, რომლის სირთულე თურმე ბოლომდე არ მქონია გააზრებული.

9 საშიში გარკვეული დაავადების გავრცელების მხრივ.

თურქული

პირველი ჩამოშხეფებული წვეთების შემდეგ, აორთქლებული მტვრის და ბალახის სუნი ასდის სოფელს, სადაც დათა იზრდებოდა. ჩამოწოლილი ნისლის და თხმელის ხეების ქვეშ რომ თამაშობდნენ ბავშვები, დათა მამას ეხმარებოდა ახალი სადგომის გაკეთებაში, მანამდე სანამ გომის მთის საძოვრებისკენ გარეკავდნენ საქონელს. ახალ ძროხას და ხბოს ყიდულობდა დათას მამა სექტემბრისთვის, ამიტომ სადგომის მოწყობა უნდა მოესწროთ სანამ წავიდოდნენ. ამ მხარეში განსაკუთრებით ეშინოდათ ერთი დაავადების, რომელიც იმდენად სწრაფად ვრცელდება ქარის საშუალებითაც კი, რომ დაავადებული ცხოველები ძალიან დიდხანს ავადობენ, სუსტდებიან, რძეს ძალიან ცოტა რაოდენობით, ან საერთოდ აღარ იწველებიან, ეს იმას ნიშნავს რომ პროდუქტიულობა უქვეითდებათ. ეს ყველაფერი კი ძალიან დიდ ზარალს იწვევს მითუმეტეს ისეთ ღატაკ მხარეში, როგორიც გურიაა. არის შემთხვევები, როცა დაავადებულ ძროხებს კლავენ კიდეც, იმისთვის, რომ არ გაავრცელონ ეს საშინელი სენი. ეს დაავადება მხოლოდ იმათ ემართებათ, რომელთაც წყვილი ჩლიქი აქვთ: ძროხა, კამეჩი, ცხვარი, თხა, ღორი. განგებამ ამ დაავადებისგან გურული ცხენები იხსნა. მიუხედავად დიდი სიღატაკისა, ოდითგანვე ყოველ მეორე ოჯახში მაინც იყო ერთი ცხენი. ზოგი უჭმელობისგან ფერდებ ჩაცვენილი, რომლის დანახვაზეც პატრონს წამოაძახებენ ხოლმე: „სა გყავდა ძამა აი ჯაგლაგი და გაბურსალებული ცხენი“. რჩეულნი კი დოღში ხვდებიან ერთმანეთს ფერისცვალებას.

განსაკუთრებით უყვარს დათას ფერისცვალება, რადგან ბუნების შესაძლებლობების სჯერა და რადგან მაისის დასაწყისიდან აგვისტოს ბოლომდე მამას მიჰყვება ხოლმე საზაფხულო საძოვრებზე, ხვდება, რომ დიდი დრო გასულა. სხვა მწყემსების შვილებთან ერთად რომ დალევს ერთ ჭიქა არაყს, გრძნობს, რომ სახლი შორსაა, სახლამდე გასავლელ მანძილთან ერთად წარმოსახული ოცნებები, კი უფრო შორს. სკოლის გაცდენილ ბოლო დღეებთან ერთად გარბის ბავშვობა, თუმცა დათას ფიქრები სხვა მიმართულებითაა, ვიდრე სამი დღე-ღამის გათელილი, ქვა ღორღიანი მაღლობები.

ზემო სურებიდან გომის მთის ბოლომდე, დათას ერთი მეგობარი ემგზავრება ხოლმე, ისიც მამას და ბიძას დაყვება მწყემსების ცხოვრების გასაზიარებლად. რამდენიმე დღის განმავლობაში უწევთ ერთად სოფლის ღობეებისა და საათების თვლა, იმ ცხოვრებაზეც ლაპარაკობენ ხოლმე, სადაც მწყემსები არ არიან. დათას მეგობრის ბიძას ნიკო ჰქვია. მწყემსები ზოგჯერ ნიკო ექიმსაც ეძახიან. წლებმა და ცხოვრების წესმა გამოცდილე-



ბა დაუგროვა და საძოვრებზე მწყებსებს ხშირად ეხმარება დაუგეგმავი სირთულეების გადალახვაში. დათას ყოველთვის უკვირდა გზაში წამოწეულ უცხო საქონელს რატომ უღებდა ხოლმე პირს, რატომ უთვალიერებდა საგულდაგულოდ ცურს და ჩლიქებს, რატომ ეკითხებოდა უცხო მწყემსებს აჭარლები ხომ არ იყვნენ და ბოლოს რომ ვერაფერს აღმოაჩენდა კმაყოფილ სახეს იღებდა და დორბლიან ხელებს იმ ტანსაცმელზე იწმენდდა, რომელიც კიდევ რამდენიმე კვირა ეცმეოდა გაუხდელად.

ნიკო ბავშვობაში აჭარაში ცხოვრობდა და ხშირად ყვებოდა იქაურ ისტორიებს. აჭარლებთან ერთად სუფრაზე რომ მოხვდება, ბავშვობა სულ ცხვირწინ დასტრიალებს და მოსწონს ეს შეგრძნება. როგორც კი შანსი მიეცემა ხოლმე სულ ყვება ისტორიას, როგორ შეიპარა ფიზიკის მასწავლებლის ეზოში და მოპარა მანდარინები, ეს ყველაფერი მასწავლებელს დაუნახავს და ამის გამო ნიკოს სულ ორიანი ჰყავდა ფიზიკაში, მანამდე სანამ ერთ დილით, ორი ტომარა მანდარინი არ დაუდო კართან. მიუხედავად ნიკოს ასეთი დიდი სიყვარულისა აჭარლების მიმართ, მათი საქონლის ძალიან ეშინოდა. რადგან აჭარა თურქეთს ესაზღვრება, ისტორიულად კი დაავადება, რომელიც ნიკოში

ამხელა შიშს იწვევდა, ყოველთვის თურქეთიდან შემოდიოდა. ზუსტად ამიტომაც დაერქვა ამ დაავადებას სახელი თურქული.

საათობით ლაპარაკის და გავლილი კილომეტრების მერე, დათამ უკვე იცოდა, რომ ნიკოს ყველაზე მეტად დაავადება „თურქულის“ ეშინოდა. სანამ ძროხას პირში სისხლიან-ჩირქიანი ნაპრალები გაუჩნდება, რის გამოც ნერწყვი სდის და ჭამა უჭირს, სანამ ფეხებზე და ცურზე გამოუვა ლობიოს მარცვლის ოდენა ნახეთქები, რის გამოც საქონელი კოჭლობს ან სულაც წევს, მანამდე 4-5 დღით ადრე თურმე არაფერი ეტყობა და შეუძლია ასე სოფელ-სოფელ იაროს საძოვრებამდე და გზადაგზა შარდით, ნერწყვით და ფეკალიებით ავრცელოს დაავადება. და რა შეიძლება მოხდეს ამის მერე? გაჩნდეს შიში სიღატაკის, რადგან ათასი ძროხიდან მხოლოდ ერთმა თურქულიანმაც რომ გაიაროს ეს გზა, შეიძლება ნახევარი გურიისა და აჭარის ძროხები დააავადოს.



ეხლა მიხვდა დათა რატომ ცრიდა მამა წელიწადში 2-ჯერ ძროხებს, რატომ წვალობდა სადგომის მოწყობისთვის, სადაც ორი კვირით კარანტინში მოათავსებდა ახალ შემოყვანილ საქონელს. ხუთ წელზე მეტია დაჰყვება ამ დამღლელ გზაზე მამას, 5 წელზე მეტია არ უთამაშია ზაფხულობით ჩამოსულ ქალაქელ ბავშვებთან. აღარ ტკენია მდინარის პირას, ფეხბურთის დროს გადასერილი ფეხის თითები.

ზემო სურებში ტოვებს ბავშვობას მისი მეგობარიც, ზაფხულის ხვატში, ნაორთქლებ ქვებზე ჩამომსხდარები სულ იხსენებენ საკუთარი სახლების ჩრდილებს. ზოგჯერ ხის ძირში პურის და კაიმაღის[10] ჭამის დროს, შემონახული

10 რძის პროდუქტი, რომელიც კრემის მსგავსია

ენთუზიაზმით თამაშობენ კოჭობანას, ამ დროს კი ისმის გაუთავებელი ცოხნის ხმა და მამების შეძახილი: „ჰე გეინძერით“. აქ წყდება ძლივს შემონახულ თავისუფლებასთან თამაში, თუმცა დათას სჯერა რომ თავისუფლება საკუთარ აზრებთან ჭიდილშია.

დათა მიხვდა რატომ არის ადამიანი პასუხისმგებელი არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ სხვაზეც და რომ არა ის სხვა, მხოლოდ საკუთარი გადარ-ჩენის ინსტინქტით ყოფა, ვიქნებოდით ერთფეროვანნი და ვერასდროს შევიგრძნობდით როგორი სიამოვნება და ხელოვნებაა სხვაზე ზრუნვა. დათა მიხვდა, რამხელა პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონია მამას, იმის გამო, რომ საკუთარ ძროხებს სულ უტარებდა თურქულის ვაქცინაციას, ახალ ნაყიდ საქონელს ამყოფებდა კარანტინში, არასდროს ამ წლების განმავლობაში არ ჰქონიათ მის ძროხებს პრობლემები. იმასაც ხვდება რომ ეს არ იქნება ბოლო ფერისცვალობა სახლში მალე წასვლის მოლოდინით, კიდევ ბევრჯერ მოუწევს, ჩამოდინებულ ნისლის ნაკადში გაფანტული ძროხების დათვლა, ყინულივით ცივ მდინარეში გათოშილს, მრავალჯერ შეეკვრება სუნთქვა. ღია ცის ქვეშ ნაჭრის ნაგლეჯზე ძილი ხშირად მოუწევს, თუმცა ისწავლის, რომ ბუნების შვილია და მისთვის, როგორც მომავალი ფერმერისთვის არსებულ სირთულეებს დასაწყისშივე ჭკვიანურად უნდა გაუმკლავდეს.

ნოდულარული დერმატიტი

ბინდდებოდა. გოგია თავის ლურჯ კატერში სიფრთხილით აწყობდა პურს, ღვინის ბოთლებსა და სურსათს. ხის ტოტიდან მარყუჟი ჩამოხსნა და კატერის ძრავი აახმაურა. ფოთელები ამ ადგილს ხუმრობით გოგიას პორტს ეძახიან. მართლაც, თავისი ხელებით მოიწყო ეს ყურე პატარა პორტად რამდენიმე ათეული წლის წინ. ჯერ ერთი უზარმაზარი რკინის საყრდენი გააკეთა, მერე წყლის ნაპირზე მიწა ჩამოჭრა კატერისთვის, შემდეგ კი ნელ-ნელა იქვე ხის სკამები და მაგიდა დადგა. ყოველ ორშაბათს მოადგება ხოლმე თავის პორტს გოგია, ჩამოაქვს იმერული ყველი და სულგუნი. საღამომდე ფოთში საქმეებს აგვარებს, საკვებს იმარაგებს და ნათესავებსაც შეუვლის ხოლმე. გასვლისას ლუდსაც სვამს ბოჭორიშვილის ქუჩის ახალგაზრდებთან ერთად.

ლევანი - უკვე გადიხართ გოგია ძია?

გოგია - ოჰ, ლევანს ვენაცვალე. უნდა წევიდე, ბინდდება და რაცხა ჩემი საქონელი არ მომწონს, კოლიას წამალი გამოვართვი და სანამ მთლად დაბნელდება იქნება გოვუკეთო. უჩემოთ დალიეთ ეგ ლუდი, მარა ნამეტანი კოღოებია ამ საღამოს და ამ წყლის პირას ნუ დაჯდებით მაინცადამაინც.

ლევანი - საქონელს რა სჭირს კიმარა და?

გოგია - რამდენიმე მოწყენილია და ერთს ტანზე რაცხა გამოაყარა. კოლიამ ზეთოვანა ანტიბიოტიკი გამომატანა, მაგან აბა მეტი არ იცის და. რაია ვერც მე ვხვდები. წევედი წევედი მივუსწრო დღის შუქს.

ლევანი - წადი წადი გოგია ძია, შენ კი მიდიხარ სამოთხეში. ძროხებზე კიდე დახმარება თუ დაგჭირდება ხვალ გამაგებინე და ამოგირბენთ ბიჭები.

გახუნებული ქუდი მოიხადა გოგიამ, ლევანს ხელი აუწია და მისნაირი ბებერი კატერით შეცურა პალიასტომის ტბაში. პატარა ტალღები ეხეთქებოდნენ კატერის ამოჟანგებულ გვერდებს, თეთრად გადასერილი წყლის ზედაპირის ქვეშ, მოყავისფრო ფერი ირეკლებოდა. ამ გზას გადიოდა გოგია იმ დღიდან, როცა ფოთი საბოლოოდ დატოვა და კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე, მამისის დანატოვარი ბიზნესი გადმოიბარა. საღამოობით განსაკუთრებით ლამაზი იყო პალიასტომი. ცივი ქარი სახეში ეხეთქებოდა გოგიას. თუმცა, დღეს ის დღე ნამდვილად არ იყო, ამ ყველაფრით კიდევ ერთხელ რომ დამტკბარიყო. საკუთარ ძროხებზე დარდობდა და ერთი სული ჰქონდა

როდის მივიდოდა და გაუკეთებდა ანტიბიოტიკს, რომელსაც შეიძლება საერთოდაც არ ეშველა. საგუშაგოდან გადაუხვია და ხევს გაუყვა, კატერის ხმაზე ქაობებიდან აფრინდნენ სხვადასხვა ფერის ჩიტები და ჟივილით დაიფანტნენ. ქაობებს შორის მოქცეულიყო გზა გოგიას სახლამდე. ბოლო მზის სხივები წყალზე ირეკლავდნენ მურყნის და შქერის მწვანე ანარეკ-ლებს, ალაგ-ალაგ ძეძვის ხეებიც ჩნდებოდნენ და წყალს ერწყმოდნენ. გეგონებოდა სივრცე, რომელსაც ვხედავთ იმაზე მეტია, ვიდრე ჩანს. იმაზე ძლიერია ექო, ვიდრე ჩვენ გვესმის.

თხუტმეტ წუთიანი სვლის შემდეგ, გოგიამ ძრავი გამორთო და ვიწრო ხევში ნიჩბების მოძრაობით გადაუხვია. ნიჩბებს ედებოდა ქაობის ტორფი და მოულოდნელად წყლის ზედაპირზე იკლაკნებოდნენ პატარა გველებივით. არ წყდებოდა ბაყაყების ყიყინი. ლამაზად გადაკლაკნილი ეკალღირჯები[11] წყლის წვეთების მოხვედრისას ბრწინავდნენ. გოგია ნიჩბებით წევდა წყალ-ში მოტივტივე ხის ნაფოტებს. როგორც იქნა, მივიდა სახლამდე. კატერი ხის სარს მიაბა და მოქნილი მოძრაობით გადახტა ნაპირისკენ. იმედიანად დაამაგრა თავისი ლურჯა კატერი, სურსათ-სანოვაგე გადმოიტანა და შეაბი-

11 ეკლიანი მცენარე

ჯა უზარმაზარ მდელოზე. მდელოს ტყე ჰქონდა შემორტყმული. შუაგულში ყავისფერი ძროხები იყვნენ მიმოფანტულნი. დიახ, ყველა ყავისფერი იყო, ზოგი ოდნავ მუქი, ზოგი ღია. მზის ბოლო გამოტყორცნილი სხივები, კანზე ანალოკ ადგილებს უბრჭყვიალებდა ყველა მათგანს. გოგიას დანახვაზე ორი უზარმაზარი თეთრი ნაგაზი და შავი გაურკვეველი ჯიშის ძაღლი გამოეშურნენ.

გოგია - ჰა ეხლა, ნუ შემახტებით, მივატანო სახლამდე სული.

ძაღლები გოგიას სუნავდნენ და ერთმანეთის ჯიბრზე წრეზე დარბოდნენ.

გოგია - დედაა, თოლია უფრო გაქუცულხარ გოგო. აბა ტკიპები და ჯღიბები ვერ გაგაშორე და.

მდელოდან მარჯვნივ პატარა ბილიკს შეუყვა და გამოჩნდა ერთ სართულიანი ფიცრული სახლი, მოუვლელი, ალაგ-ალაგ ჩამოშლილი. სახლის შორიახლოს მოზრდილი ზომის სადგომი იდგა საქონლისათვის. ეზო შემოღობილი არ ჰქონდა, თუმცა არც სჭირდებოდა. მთელს დაბლობზე მხოლოდ თვითონ იყო

ერთადერთი ადამიანი. სახლის წინ ხეობიდან ამოღებული ხის ნაფოტები ეყარა ზამთრისთვის. ეზოში ჰქონდა ონკანი და ირგვლივ შემოეწყო დიდი ლითონის ქვაბები, სადაც გამოწველილ რძეს ასხამდა და მერე ყველს იყვანდა. ძაღლებს ძველი პური დაუყარა, ახლები კი სამზარეულოში შეინახა. მერე ნემსები გაამზადა, ქვაბებს წყალი გამოავლო, ჯოხი აიღო და წავიდა ძროხების სახლში წამოსარეკად.

სახლის უკან ძროხების სადგომი ჰქონდა. 34 ძროხა ჰყავდა და 3 ხარი. ყოველ ჯერზე ითვლიდა და ისე შეჰყავდა სადგომში. დღესაც იგივე გააკეთა და შეამჩნია რომ კიდევ ერთ ძროხას ჰქონდა მთელს ტანზე, განსაკუთრებით კი ბარძაყებთან და ცურზე კვანძოვანი გამონაყარი. ბუზები არ ასვენებდნენ და დატრიალებდნენ ამ გამონაყარს, აჯდებოდნენ და კბენდნენ. საწყალი დაავადებული ძროხები იქნევდნენ კუდებს, თმებზე ეკალ-ბარდები ჰქონდათ ახლართული და ყოველი მოქნევისას ფრთხებოდნენ ბუზები, მაგრამ მხოლოდ წამიერად და შემდეგ უკანვე ჯდებოდნენ. ანერვიულდა გოგია, აღარ იცოდა რა ექნა, ძროხების გამოწველა სულ გადაავიწყდა და სასწრაფოდ დაურეკა ვეტერინარს, რომელსაც კოლიას ეძახდა.

გოგია - ე ბიჭო კოლია, მგონია ვიღუპები ძამა. კიდევ მეორეს გამოაყარა, უშობელი რო მყავს ხომ იცი შოკოლადკა, იმას. ეს მგონია ვირუსია და ეს ანტიბიოტიკი რას მიშველის ბიჭო. ჩამოი ხვალ, მწვანეს ამოვაყვანიებ შენ თავს და იქნება იცნო რა ჯანდაბაა. მე ვერ ვიცანი რაია ეგი, ამდენი წელია საქონელი მყავს და ასეთი რამე არ მინახია ძამა რა.

კოლია ვეტერინარი - გოგია ბიჭო, რომელსაც გამოაყარა და ცუდადაა, იგენი ყველა გარეთ გამოაბი. დოურეკე ამომიყვანონ და დილიდან ამოვალ. დეიარე ახლა გამოწველისას და რომელიმეს რაცხა თუ კიდე შეატყო, გამოაბი ყველა

გარეთ, რო ვისაც ჯერ არ გადადებია არ გედეედოს.

გოგია - ოო კოლია რა გითხარი მე შენ, ანტიბიოტიკი რო შველოდეს ბიჭო ყველაფერს, ვეტერინარი კიარ დამჭირდებოდა. სანამ ამოხვალ იქნება წეიკითოხო და რამეს მიამსგავსო. კანზე აქვს ხორკლებისავით გამონაყარი, ხელს რო მოკიდებ კვანძებივითაა, უკანა კიდურებთანაც, ცურზე და სახეზეც შევამჩნიე. უშობელს სახეზეც გამოაყარა. ყველა ცხელია, უმეტესად წვანან და არ ჭამენ.

კოლია ვეტერინარი - კაი გოგია ნამეტანი ნუ ნერვიულობ ბიჭო. მე რას ვიზამ იცი? ლექსოს ამევიყოლებ, ჩამოსულია ფოთში და უფრო გამოცდილია მაგი ძამა.

გოგია - კაი კაი, გეემზადე და მწვანე დაგირეკავს. დილიდან არ დალიო იცოდე, თორე მერე ვაი შენი ბრალი კოლიაა. გოგია რამდენიმე საათი მოუნდა ლამფის შუქზე ძროხების გამოწველას. დაღლას გრძნობდა და თითები აღარ ემორჩილებოდა. ადგილ ადგილ რძე ეღვრებოდა და ძაღლები ენის გაშავებამდე ლოკავდნენ. გოგიამ შეამჩნია რომ რამოდენიმე ძროხამ იმაზე ნაკლები მოიწველა, ვიდრე აქამდე იწველებოდნენ. ყველის ამოყვანის თავი აღარ ჰქონდა, ამიტომ რძე მინის ჭურჭელში მოათავსა და მაცივარი მთლიანად შეავსო. საჭმელი არ უჭამია, პირდაპირ გამოვიდა აივანზე და გარეთ დადგმულ ლოგინზე წამოწვა. გახვეულ თუთუნს მოუკიდა და ცას დაუწყო ყურება. ძალიან მალე ჩაეძინა, ისე ღრმად, რომ ვერცერთი კოღოს ნაკბენი ვეღარ გაიგო. თუმცა ამ ნაკბენებსაც მიეჩვია, აგერ უკვე მერამდენე ათეული წელია ებრძვის საკუთარ ფიქრებს და კოღოებს, ვერცერთს ვერ მოერია. სიბნელეში არ წყდება ბაყაყების ყიყინი, ძროხების ცოხნის ხმა, ძაღლების განუწყვეტელი ბორგვა და ტანის ფხანა, გოგიას ხვრინვა. ზოგჯერ, ქარი რომ ოდნავ წამოუბერავს, კედელს ეხეთქება ჭერზე უადგილოდ ჩამოკიდებული ალუმინის პატარა, ბრტყელი ნაჭერი, რომელსაც აწერია: “Live Free or Die”- „იცხოვრე თავისუფალმა ან მოკვდი“.

კოლია ვეტერინარი - ე ბიჭო გოგია, რა დროს ძილია ბიჭო, ადეიი!, მწვანე აი ძაღლები შენ აღარც გიყეფეენ ბიჭო?

გოგია - დილიდან რატო გაკივი კოლია, მიიღე დოზა უკვე?

კოლია ვეტერინარი - არა გოგია, რაფრაც შეგპირდი მევედი ძამა და ლექსოიაც წამოვიყვანე, ადეი ახლა.

გოგიას გაუკვირდა, ისე ღრმად როგორ ეძინა, რომ ვერც კატერის ხმა გაიგო და ვერც ძაღლებმა გააღვიძეს. წამოდგა, ჩაცმა არ დასჭირვებია, ისედაც ჩაცმულს ეძინა ხოლმე. ლექსოს ხელი ჩამოართვა და თუთუნის შეხვევა დაიწყო. სანამ მწვანე (ასე ეძახდნენ ყულეველ დათოიას ფოთელები) და კოლია რაღაცაზე იცინოდნენ, ლექსომ თავისი ჩანთა გახსნა, ხელთათმანები ჩაიცვა და ეზოში დაბმულ საქონელს მიუახლოვდა. კარგად დააკვირდა, ცდილობდა ბუზების მოგერიებას, მაგრამ ამაოდ. ორივე ხელით კარგად გაუსინჯა ლიმფური კვანძები[12] და თავისთვის ჩაილაპარაკა „ესეც გადიდებულია“. გამონაყარს კარგად დააკვირდა და ხელით მოსინჯა, ზოგს ფუფხი მოაძრო და დაჩირქებული კვანძები ნახა. ხელთათმანები გაიხადა და გოგიას უთხრა დანარჩენი ძროხები ეჩვენებინა, ახალი ხელთათმანები ჩაიცვა და დაუზარებლად ყველა მათგანს უნახა ლიმფური კვანძები და გაუზომა ტემპერატურა. თავის საქმეს ფრთხილად აკეთებდა, დახმარების გარეშე, გულომოდგინებაზე ეტყობოდა თუ როგორ უყვარდა თავისი პროფესია და ცხოველები. ერთ საათზე ცოტა მეტი დასჭირდა ყველა ძროხის შემოწმებისთვის. ბოლოს გამოვიდა და გოგიას უთხრა რომ კიდევ ერთი ძროხა არ მოეწონა, მოწყენილი ჩანს და უენერგიოდო. გოგიას უთხრა, რომ დაავადებულის და იმ უღონოს გარდა ყველა სხვა საქონელი გაეშვა საძოვარზე, ესენი კი სადგომში დაეტოვებინა.

გოგია - რაო აბა ლექსო, ცუდად მაქვს საქმე?

ლექსო - გოგია, არ მინდა შეგაშინო, მაგრამ ტიპიური სურათია ნოდულარული დერმატიტის. ეს რომ მწერების ნაკბენი იყოს უფრო მტკივნეული იქნებოდა და არ იქნებოდა დაზიანებული ადგილები ასე შემოსაზღვრული. არც დერმატოფილოზს ჰგავს რადგან მთელს ტანზეა გაშლილი, თან ახლა მაგ პარაზიტის სეზონიც არაა.

გოგია - შენი ჭირიმე, ისე მითხარი ცოტა მეც რო გევიგო, არ მესმის აი ტერმინები.

ლექსო - მოკლედ გოგია, რასაც თვალით ვხედავ, ჰგავს ნოდულარულ ანუ კვანძოვან დერმატიტს მაგრამ საბოლოო დიაგნოზისთვის ლაბორატორიაა საჭირო. კიდევ კარგი ანალიზის ასაღებად ყველაფერი წამოვიღე, ავიღებ კანიდან ანაფხეკებს და წავიღებ ვირუსის აღმოსაჩენად. თუ ნოდულარული

12 ლიმფური კვანძები იმუნური სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ბიოლოგიური ფილტრის ფუნქციას ასრულებს.

დერმატიტი დადასტურდება, მაშინ ცუდად გვექნება საქმე. ძალიან სწრაფად ვრცელდება, საქმეს ის ართულებს თან, რომ სულადობის ნახევარში უსიმპტომოდ მიმდინარეობს. პასუხი თუ დადებითი იქნება გირჩევ ყველა დაავადებული და დაავადებაზე საეჭვო ცხოველი დაკლა და დაწვა იცოდე!

გოგია - რას მეუბნები ლექსო ძამა, რას!

ლექსო - ასეა გოგია მეგობარო, დღეს კანონით კი შეგიძლია დაავადებული ცხოველი ცოცხალი დატოვო და უმკურნალო, მაგრამ ის ორი ისეა მიანც ვერ გადაარჩენ, ამასობაში კი ეს დაავადებულები შენს სხვა საქონელს გადასცემენ ამ ვირუსს და შეიძლება მეტი დაგეხოცოს. პლიუს ეს ჭაობი და ამდენი მკბენარა მწერი ხელს უწყობს მის გავრცელებას, მექანიკურად გადააქვთ მწერებს. თან რა უბედურებაა, რამდენი მწერია, მგონია რო ყოველი ჩასუნთქვისას ფილტვებში ჩამყვება. მე ეხლა ავიღებ ნიმუშებს, გავიქცევი ფოთში და თბილისში გავაგზავნი.

ასე გააცილა კატერამდე თბილისიდან ჩამოსული მეგობარი ვეტერინარი ჩაფიქრებულმა გოგიამ და მწვანეს მიაძახა, რომ კატერი ნელა და მშვიდად ეტარებინა.

მწვანე - გოგია, არ ინერვიულო, ყველანაირ წყალს გავუმკლავდები, მწვანე ვარ მწვანე. რა უნდა აი სამოთხეში მასეთ დაავადებას. მგელი თუ მოგიკლავს რომელიმეს, თუარა სხვა ვერაფერი მოგერევათ.

ასე გადასერა მწვანემ კატერით ხეობა და ააშრიალა ლიანები. გოგია კი დარჩა ნაპირზე, მიწაზე, რომელსაც სამოთხე შეარქვა და მისი ბატონ პატრონივით დააბიჯებდა მდელოდან ტყისკენ, წყაროდან ყანებამდე და ასე დაუსრულებლად, ყოველდღე. სახლთან რომ დაბრუნდა, დაავადებულ ძროხებს თივიანი და ქერიანი საკვები შეუზავა და ჯამით წინ დაუდგა სამივეს. არცერთმა პირი არ დააკარა. გოგიას ძალა აღარ ეყო, მიწაზე ჩამოჯდა და თავშეუკავებლად ატირდა.

ორი დღე გავიდა ლოდინში, არ აკლდა ამ დღეებს დაღლა. გამუდმებით აკვირდებოდა ძროხებს გოგია, არც ცრემლები აკლდა მის სახეს, მის სიცხისგან და სიბერისგან გამომშრალ კანს. დღეში რამდენჯერმე ატყუებდა თავს, რომ ყველაფერი კარგადაა და არ მოუწევდა საკუთარი ხელით შოკოლადისფერი მეგობრების დაკვლა.

მესამე დღეს, თუთუნს რომ ახვევდა შეამჩნია რომ სამივე დაავადებული ძროხა მძიმედ სუნთქავდა და არცერთი აღარ ცდილობდა წამოდგომას. ამ დროს შემოესმა ტელეფონის ხმაც:

ლექსო - გოგია მეგობარო, ცუდი ამბავი მაქვს. ნოდულარული დერმატიტი დადასტურდა. როგორც გირჩიე სჯობს ის დაავადებული ძროხები დავკლათ, ასევე ისინიც ვინც საეჭვოა ამ დაავადებაზე. დაღლას, უმადობას და წველადობის შემცირებას თუ რომელიმეს ატყობ. არცერთი დაგენანოს იცოდე, სხვების გადასარჩენად ასეა საჭირო, მერე აუცილებლად ტან-ხორცი უნდა დაიწვას, საქმელად არ ვარგა მაგი ხორცი. კოლიას ვასწავლი როგორ მოიქცეს, მწვანესაც დავურეკავ რომ ამოიყვანოს ბიჭები და დაგეხმროს. მე ჩემ სამსახურს, სურსათის ეროვნულ სააგენტოს ვაცნობე და ეპიდემიოლოგიურ კვლევას[13] დაიწყებენ რომ გავიგოთ სა ჯანდაბიდან მოეთრა ეს ვირუსი და

13 ინფექციური დაავადების წარმომავლობის და გავრცელების კვლევა

კიდევ თუა სადმე გავრცელებული, რომ დროზე გავაჩეროთ. ისიც ვუთხარი რა პირობებშიც ცხოვრობ და ძროხებს რომ სასაკლაომდე ვერ მიიყვან, ამიტომ ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა დავკლათ. დანარჩენ ძროხებს უნდა დააკვირდე, მეც სანამ ფოთში ვარ ყოველ მეორე დღეს ამოვალ და შევამოწმებ, თუ რომელიმეს ნელ-ნელა გამოუვლინდება რაიმე კლინიკური ნიშნები, ეტაპობრივად უნდა დავკლათ. ამავდროულად ვინც დარჩება ჯანმრთელი, უნდა ჩავუტაროთ ვაქცინაცია. მანამდე კი ბუზებმა და სხვა მკბენარა მწერებმა დაავადება რომ არ გაავრცელონ სასწრაფოდ მწერების საწინააღმდეგო ხსნარი უნდა დაასხა შენს ძროხებს. დაავადებულებსაც დაასხი და ჯანმრთელებსაც იცოდე. ეხლა რასაც გეუბნები ვიცი რთული მოსასმენია, მაგრამ ძალიან საშიში დაავადებაა. გაგვიმართლა, შენთან ახლომახლო სხვა ფერმები არარის, თორემ იმათშიც გავრცელდებოდა და იგივეს გაკეთება მოუწევდათ. ეხლა გამაგრდი, რაც უფრო მალე დავკლავთ დაავადებულებს და დაავადებაზე საეჭვოებს, გადარჩენის მით უფრო მეტი შანსი ექნება სხვა საქონელს. გითიშავ ეხლა და ვურეკავ მწვანეს დავაბა-რებ მწერების საწინააღმდეგო ტანზე დასასხმელი წამალი ამოგიტანოს სასწრაფოდ, მეც ხვალ ამოვალ, შეხვედრამდე.

ისევ მოულოდნელად ჩამოცვივდა ცრემლები გოგიას. თოლია მიელაქუცა წკმუტუნით. გოგიამ მეორე ძაღლს გახედა, რომელსაც ყორანი დაარქვა. ყორანი დინჯად იყურებოდა და პატრონის უცნაურ ქცევას აკვირდებოდა.

გოგია - მოდი ყორანო, არ მოხვალ ჩემთან?, როგორი ბრძენი ხარ, რამდენი რამე გინახავს, მაგრამ ეხლა რასაც ნახავ, ასეთი არსად გექნება ნანახი. რომც ნახო, არამგონია ჩემსავით ნახევრად მოკვდე. შენ ხომ თავისუფალი ხარ, თუმცა თავისუფლების საიდუმლო ინგრედიენტი რა არის იცი? სიყვარული!, ოღონდ არ აქვს მნიშვნელობა რისი ან ვისი. რაც უფრო მეტად გიყვარს, მით უფრო კეთილშობილდები. რაც უფრო მეტად აკეთილშობილებ შენს თავს, მით უფრო მეტად თავისუფალი ხდები. ხოდა ყორანო, ჩემი თავისუფლება ამათ შევალიე, გესმის? საშინელებაა, ვიცი იგრძნობ, მაგრამ გპირდები ამასაც მევერევით.

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება

მაისი იყო, თუმცა ძალიან ცხელოდა. არავის დაუთვლია რამდენჯერ გაიღო საავადმყოფოს უცნაური სიმეტრიის კარები. ყოველ ჯერზე ქალაქის მტვერი და ხმაური შემოჰქონდა ნიავს. მიმღებში ქალბატონი ლალი იჯდა, კარის ყველა გაჭრიალებაზე შეშფოთებულ სახეს იღებდა და ხელის მტევანს ინიავებდა სახესთან. რიგის ნომრების გაცემისას თავს არიდებდა დასმულ კითხვებს და ზოგჯერ დარჩენილ ლაქს იფრცქვნიდა ფრჩხილებიდან. ოცდამესამე წელიწადი შესრულდა იმის მერე, რაც ლალი ერთი და იგივე ადგილას ზის, მუდამ დაღლილი, ერთი და იმავე გამომეტყველებით, მის ირგვლივ მხოლოდ კედლების ფერი, სკამის სიმყარე და ექთნები იცვლებოდნენ, ისიც ძალიან იშვიათად. სამსახურშიც ხშირად აგვიანებდა, თუმცა უფროსი არასდროს საყვედურობდა, ალბათ, ისიც მიეჩვია ქალბატონი ლალის გადაუჩვეველ დაგვიანებებს. ახალსოფელში ცხოვრობდა და თავს იმით იმართლებდა, რომ დილით რთულია ხაშურამდე დროულად ჩამოსვლა. ლალიმ დღესაც ჩვეული სიზანტით ამოიარა საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე არსებული რამდენიმე საფეხურიანი კიბე, საავადმყოფოს ეზოს შესასვლელთან ქოშინით გაჩერდა და იქვე არსებულ მაღაზიის გამყიდველს დაუძახა. ეს მაღაზიაც ქალბატონი ლალისავით მყარად იდგა თავის ადგილზე, თუმცა გამყიდველები ხშირად იცვლებოდნენ. ბოლო გამყიდველმა საკმაოდ მოხიბლა ქალბატონი ლალი, სავარაუდოდ ხმაურიანი ჭორებით და თავდა-უზოგავი თანადგომით.

ლალი - მაია, ხო გითხარი მოგიტან მეთქი ტკიპებისთვინ წამალსა, აი მო-გიტანეი, პატარა ბოთლი არის, უკან კი აწერია საქონლის წონის მიხედვით რამდენი წვეთი უნდა გახსნა ერთ ლიტრ წყალში. უნდა დაასხა და 10 დღეში უნდა გოუმეორო. მაგ განზავებული ხსნარითა მერე შეგიძლია ეზოცა დაამუშაო და ბოსელიცა. ჩემ ძროხებს უშველა. რა იყო მაინც ესი წელსა, შემოგვესივნა, შემოგვესივნა.

მაია - გეიხარე ლალი, მიდი ახლა გელოდებიან, ხალხი დგას რიგში ბევრი.

ბოლო რიგის ნომრის გაცემიდან დიდი დრო იყო გასული, ქალბატონი ლალი ისევ საბუთებს ჩაჰყურებდა. ექიმები არსად ჩანდნენ, ზოგჯერ მოსაცდელიდან გაუსაძლისი წუწუნი მოისმოდა. ქალბატონმა ლალიმ თავი გააქნია, წამოდგა და წავიდა თანამშრომლების მოსაძებნად. ვიწრო დერეფნები ჰქონდა საავადმყოფოს, დერეფნის ბოლოს, კიბესთან იყო უფროსის ოთახი, საიდანაც ლალიმ ლაპარაკის ხმა გაიგო და გაუკვირდა.

კლინიკის უფროსი მაღალი, გამხდარი და ჩუმი კაცი იყო. ლაპარაკი დიდად არ უყვარდა. ოცდასამი წლის განმავლობაში რამდენჯერმე ნახა ლალიმ გაღიმებული. ისიც ლალისავით სულ აგვიანებდა სამსახურში, მაგრამ ყველაზე გვიან მიდიოდა სახლში. პროფესიით კარდიოლოგი[14] იყო, თუმცა წლებია პაციენტებს აღარ იღებდა. ერთ დღესაც სამსახურში დიდი თაბახის ფურცლები და უამრავი შავი ფანქარი რომ მოიტანა, ლალიმ საბოლოოდ გადაწყვიტა რომ უცნაური კაცი იყო.

ლალის კარი შეღებული დახვდა, ამიტომ თამამად შევიდა უფროსის ოთახში. მთელი საავადმყოფოს პერსონალი ერთად შეკრებილიყო და რაღაცაზე მსჯელობდნენ. ასეთი შეკრებები თითქმის არ ხდებოდა, მითუმეტეს უფროსის ოთახში. ლალიმ ოთახს თვალი შეავლო და შეამჩნია ახალი, პატარა კაქტუსები. მტვრიანი თაროები პატარა თიხის სათამაშოებით, ჩარჩოებში ჩასმული ფოთლები და ყველგან მიმოფანტული შავი ფანქრები. მაგიდის ქვეშ დამრგვალებული თაბახის ფურცლები ეწყო. უფროსი ფანჯარასთან იდგა, თავის გამხდარ, დაძარღვულ ხელებს დაჰყურებდა.



14 ექიმი რომელიც დიაგნოსტირებას ახდენს და მკურნალობს გულისა და სისხლძარღვთა დაავადებებს.

ლალი - რაი ხდება ასეთი?

უფროსი - ლალი გუშინ დილით რომ დედა და შვილი მივიღეთ გახსოვს?

ლალი - კი რავა არა, დედას რო მთელ ტანზე ქონდა წითელი ლაქაი და შვილს რო სიცხე ვერ დოუგდეთ.

უფროსი - კი, ანალიზების პასუხი ჩამოვიდა თბილისიდან და ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება აღმოაჩნდათ. საკმაოდ მძიმედ არის დედა, ინტენსიურში გვყავს, შვილი ცოტა დავასტაბილურეთ. ეხლა ვფიქრობთ დავიტოვოთ თუ თბილისში გადავიყვანოთ. ცოტახანში ეპიდემიოლოგებიც მოვლენ და პაციენტებს გაესაუბრებიან.

ლალი - დედაა რას ამბობთ?!

უფროსი - მოკლედ მობილიზდით ყველა, შეიძლება რამდენიმე შემთხვევა კიდევ იყოს, გავავრცელოთ ინფორმაცია მაქსიმალურად, ხალხს მოვუწოდოთ რომ სასწრაფოდ დაამუშაონ ეზოები და შინაური ცხოველები, განსაკუთრებით ძროხები და წვრილფეხა საქონელი, ტკიპების საწინააღმდეგო პრეპარატებით. მოგეხსენებათ საკმაოდ საშიში დაავადებაა, სიფრთხილე გვმართებს ყველა ჩვენგანს, მითუმეტეს იმ ექთნებს და ექიმებს ვისაც შეხება აქვს პაციენტთან. კათეტერების გამოცვლისას, ან ნებისმიერი მანიპულაციისას, ეცადეთ არ გქონდეთ სისხლთან, ნერწყვთან და სხვა ბიოლოგიურ სითხეებთან შეხება. ნებისმიერი პაციენტი, რომელიც მოგვმართავს მაღალი ტემპერატურით, ინტოქსიკაციის[15] ნიშნებით, კუნთების და სახსრების ტკივილით, სახის, კისრის და ლორწოვანი გარსების შეწითლებით და კანზე წითელი გამონაყარით, ვუღებთ სისხლს და ვაგზავნით თბილისში. თუ ეს ყველა კლინიკური ნიშანი წაშლილია და პაციენტი უბრალოდ სისუსტეს უჩივის, მაინც დაეკითხეთ ხომ არ შეუმჩნევია ტკიპისგან კბენა, რადგან ზოგჯერ უსიმპტომო მიმდინარეობაც გვხვდება. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ცხოველებში ძალიან მარტივად და მსუბუქად მიმდინარეობს, მხოლოდ ტემპერატურა აქვთ მომატებული, ძროხებს თავიდან შეიძლება წველადობაც ნორმალური ჰქონდეთ. ლალი ეხლა რომ გახვალ პირდაპირ ნუ იტყვი, სჯობს ნელ-ნელა გავაგებინოთ ხალხს, რომ ასე მარტივად არ ვრცელდება, უნდა დავაკონკრეტოთ: ტკიპის კბენით, გასრესვით და

15 მოწამვლა.

დაავადებული ადამიანის სისხლით, იმ შემთხვევაში თუ მოხვდება ჩვენ ორგანიზმში, და, უი ლალი მთავარი მესიჯი რაც ყველამ უნდა გავავრცელოთ: დეზინსექცია[16]!, დაიწყონ შეწამვლა ცხოველების და ტერიტორიების, თორემ ამ დაავადებაზე ცხოველების მკურნალობა მსოფლიოში არ ხდება და ადამიანებისთვის ვაქცინა ჯერ არ გამოუგონებიათ. ლელა, შეატყობინე ჩვენი რაიონის ვეტერინარებს, სასაკლაოებს და ფერმერებს თუ ვინმეს იცნობ, დიდი რისკის ქვეშ არიან, ვიცი ეპიდემიოლოგების საქმეა ეს და მიიღებენ ზომებს, მაგრამ მოდი ჩვენც შევიტანოთ წვლილი ამ საქმეში. ახლა მშვიდად დაიშალეთ, მიიღეთ პაციენტები, ყოველ 1 საათში გამაგებინეთ დედა-შვილის მდგომარეობა, შეიძლება მოგვიწიოს დღეს, გვიან დედის გადაყვანა თბილისში.

დაბნეული გამოვიდა ოთახიდან ლალი, კედელს მიეყრდო და საკუთარი გულისცემის შეეშინდა, ადგილს რომ დაუბრუნდა, ღრმად ჩაისუნთქა და ხალხს სთხოვა ცოტახანი მოეცადათ, რადგან ექიმებს მძიმე პაციენტები ჰყავდათ და მალე განთავისუფლდებოდნენ. რიგის ნომრების გაცემაში და საბუთების მოწესრიგებაში დროც გადიოდა, თუმცა გამუდმებით ეფიქრებოდა დედა-შვილზე. საღამო ხანს, როდესაც საავადმყოფოში თითქმის ყველა პაციენტი გაისტუმრეს და სიმშვიდე ჩამოწვა, ლალი ზანტად წამოდგა სკამიდან და უფროსის კაბინეტისკენ გაეშურა ახალი ამბების გასაგებად.

ლალი - უფროსო, ბოდიში რომ გაწუხებთ, როგორ არიან დედა და შვილი?

უფროსი - უი დედაზე სამწუხარო ამბავი მაქვს, უკვე ნახევარი საათია გულის მასაჟს უკეთებენ, კიდევ 15 წუთიც და .... შვილი გამოძვრება, კარგად მოქმედებს რიბავირინი[17].

---

16 მწერების გასანადგურებელი ღონისძიებები.
17 წამლის სახეობა.

ლალი - თქვენ არ ეხმარებით რეანიმაციაში?

ლალი - არა ლალი, აზრი არ აქვს, გოგა უტარებს რეანიმაციას, ჩემი დახმარება რაღა საჭირო იყო. საწყალი ქალი, ტეზერიდან ყოფილა, ძროხის წველის დროს უკბენია ტკიპას და შვილისთვის დაუვალებია სადაც ტკიპას დაინახავ, მოაძრე და მოკალი სანამ მე გამოვწველიო.

ლალი - დედაა რას ამბობთ?!

უფროსი - დიახ ბატონო, რა უცნაურია ცხოვრება არა? როცა ოჯახის წევრს კარგავ, ყველა გეუბნება რომ იზიარებს შენს მწუხარებას, მე მგონია რომ ვერავინ ვერ გაიზიარებს შენს ტკივილს, მაშინაც კი, თუ იგივე დანაკარგი აქვს. ყველა ტკივილი განსხვავებულად მძიმეა და განსხვავებული სიძლიერით გვჭამს და იკვებება ჩვენით. ამ ქალის ქმარს შვილი მაინც დარჩება ცოცხალი, უბედნიერესი კაცია.

ლალი - რაღაი უბედნიერესი უფროსო?

უფროსი - შვილი ხომ ცოცხალი ეყოლება, ვიცი უცნაურად ჟღერს შენთვის ეს ყველაფერი, მაგრამ, მე ორივე დავკარგე უბედური შემთხვევის გამო. რომელი უფრო რთულია ნეტავ, როცა იგებ, რომ პატარა ტკიპას, შეუძლია შენთვის ძვირფას ადამიანს უკბინოს და დაავადოს ისეთი მძიმედ მიმდინარე დაავადებით, როგორიც ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელებაა და შანსი დიდია მოკლას. არადა პატარა ტკიპა შეიძლება მიწაზე ან ბალახებში ვერც კი დაინახო, ან შენს მარჩენალ ძროხას ჰყავდეს ტანზე. ხედავ ლალი? ვცდილობ შევადარო ჩემი და იმ ადამიანის ტკივილი ერთმანეთს, რომელსაც არც კი ვიცნობ, ერთადერთი საერთო რაც შეიძლება გვქონდეს მსხვერპლია, რასაც ამ დანაკარგის გამო ვწირავთ.

ლალის პასუხი არ დაუბრუნებია, წვრილი, თაფლისფერი თვალები აეწვა და აუცრემლიანდა, უხერხულად იდგა ერთ ადგილზე და უნდოდა სასწრაფოდ გაქცეულიყო ამ ოთახიდან. ფეხები დაუბუჟდა და სკამზე ჩამოჯდა. ამ დროს კიბეების ჩამორბენის ხმა იყო, ოთახში გოგა ექიმი შემოვიდა, სახეზე სულ აწითლებული იყო, უფროსს აცნობა პაციენტის გარდაცვალების შესახებ. მან საკმაოდ მშვიდად მიიღო ეს ამბავი, იჯდა, ხელის მტევანზე ამობერილ სისხლძარღვებზე თითს აყოლებდა. გოგა რომ გავიდა მაგიდის ქვევიდან რამოდენიმე თაბახის ფურცელი გამოაძვრინა, ჯერ თვითონ დახედა, მერე მაგიდიდან ნივთები თაროზე გადააწყო, ადგილი გაათავისუფლა, თაბახის

ფურცლები კარგად გადაშალა მთლიან მაგიდაზე, მაგიდის კიდეში მრგვალი ლაქა შეამჩნია და გაეღიმა. ამდენი წელია ჩაის ჭიქას თითქმის სულ ერთი და იმავე ადგილზე დებდა და აქამდე არ იცოდა ამის შესახებ. ბოლო ფურცელიც რომ დაატია, ლალის შეხედა და უთხრა:

უფროსი - მოდი ლალი მოდი, ოც წელზე მეტია ასე უსიტყვოდ ვიცნობთ ერთმანეთს, ერთხელ მაინც გაჩვენებ რას ვაკეთებ ხოლმე მაშინ, როცა პაციენტებს არ ვიღებ.



ლალი წამოდგა და მაგიდას მიუახლოვდა, წამიერად სახე შეეცვალა და მიხვდა რომ უფროსი, რომელსაც უცნაური კაცის სახელი მიაწერა, შეიძლებოდა ძალიან კარგი ადამიანი ყოფილიყო. დაინახა შავ-თეთრი პორტრეტებით სავსე მაგიდა, რომლებიც იცინოდნენ, რამოდენიმე ქალი და კაცი, ერთადერთი ფერადი რაც ჰქონდათ მომწვანო ფერის თვალები იყო. უცებ უფროსმა რამოდენიმე პატარა კაქტუსი გადმოიღო თაროდან და ნახატებს შორის ჩააკვეხა. ცოტახანი ჩუმად უყურა და ამოიხვნეშა.

უფროსი - კაქტუსები ყველაზე ძლიერი ქმნილებები არიან ჩემთვის, წლობით უძლებენ წყურვილს, მზეს და სტიქიებს. თუმცა ერთადერთი რაც შეუძლიათ რომ დაგიშავონ პატარა ნაჩხვლეტია. ახლა ამ ხალხს შეხედე ლალი, ყველა იღიმის. ამ ქალსაც დააკვირდი, მთელი სხეულით როგორ იცინის, რომ უყურებ გეგონება მისი თითებიც იღიმიან, როგორი გულწრფელია ხედავ? სწორედ ეს არის ის მსხვერპლი, რაც ცხოვრებამ გამომტყუა. გულწრფელი ღიმილი. რომ არსებობდეს რამოდენიმე წამი მაინც, როდესაც შემეძლებოდა გამეღიმა, მეცინა და ამ წამების გასვლის მერე არ დავრჩენილიყავი ცარიელი, უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი. რამოდენიმე წელი შეიძლება მქონდეს დარჩენილი, შეიძლება დღეს ან ხვალ მეც მიკბინოს ტკიპამ და ყირიმ-კონგოს ჰემორაგიულმა ცხელებამ მომკლას, მაგრამ ვეცდები ვიბრძოლო და ვიგრძნო სიცოცხლის სუნი, ჩემი თავისუფლების სუნი. ეხლა კი წადი, დამთავრდა სამუშაო საათები და შენს შვილებს მოესიყვარულე. უი და არ დაგავიწყდეს ძროხები, ყველა ცხოველი და ეზო დაამუშავო ტკიპებზე და მეზობლებსაც იგივე გააკეთებინე.

ლალიმ ვერაფერი უპასუხა, თავი დაუქნია და დაბნეულმა დატოვა ოთახი. ალბათ არაფრის თქმა არ ყოფილა საჭირო, მის აცრემლიანებულ თვალებში იგრძნობოდა უსიტყვო თანადგომა.

თუ დაგაინტერესათ ცხოველთა დაავადებებმა, მათ შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარებისაგან.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
ცენტრალური ოფისის მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი #6, 0159
სამუშაო დრო: ორშაბათი - პარასკევი; 09:00 -18:00 სთ.
ტელეფონი: + 995(32) 291 91 68
ელ. ფოსტა: info@nfa.gov.ge
ვებ. გვერდი: nfa.gov.ge